ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Alkhali Taoba

## სოსო შატბერაშვილი: „მიწის უცხოელებისთვის მიყიდვის შეზღუდვა უნდა ჩაიდოს კონსტიტუციაში“

გვ.3

**27 აპრილიდან**

## სერია „ქართული საუნჯე“ ბავშვებს

საბავშვო მოთხრობები მაგარი ყდა, ფერადი



**ფასი გაზეთთან ერთად 15 ლარი**

ხუთშაბათი, 27 აპრილი, 2017 №98 (7333) ფასი: 50 თეთრი

# ნინო ბურჯანაძე ირაკლი კობახიძეს სასამართლოში უჩივის

გვ.4

## ლევან ხაბეიშვილი: „კარგი იქნებოდა, ოპოზიციას თავიდანვე ეფიქრა ბოიკოტზე“

„ბიძინა ივანიშვილს სჭირდება ქვეყანა იმისთვის, რომ საკუთარი ინტერესები განახორციელოს და მართოს ის ისე, როგორც საკუთარი კერძო კომპანია. ძალიან კარგად ვიცით, რომ ყველა პოლიტიკურმა პარტიამ, გარდა „ქართული ოცნებისა“, ბოიკოტი გამოუცხადა შემაჯამებელ შეკრებას და პროექტს კონსტიტუციისა, რომელიც ჩვენ წარმოგვიდგინეს შუშის სასახლიდან“

## „სოსო გოგაშვილს კომპრომატები „ოცნების“ ერთ-ერთმა დაჯგუფებამ გამოუქვეყნა“

ლადო სადღობელაშვილი: „აუცილებლად უნდა მოხდეს თანამდებობის პირების ნათესავების ქონების შესწავლა“ გვ.5

## კობა ხაბაზი: „ირაკლი ჩხვირკია თბილისში ჩემთან ერთად იყო, ბათუმის ამბები რომ დაიწყო“

გვ.2



## კოტე იოსელიანი: „ირაკლი შოთაძემ ირაკლი სესიაშვილის შვილის საქმე მიჩქმალა“

გვ.7

ირაკლი სესიაშვილი: „ნაციონალებს ჩემს შვილზე ნათქვამი სიბინძურისთვის სასამართლოში ვუჩივლებ“

## სერგი კაპანაძე: „საარჩევნო სისტემა, რომელსაც „ოცნება“ გვთავაზობს, პირველად მუსოლინიმ მოიფიქრა“

გვ.4

ISSN 1987-9385

# კობა ხაბაზი: „ირაკლი ჩხვირკია თბილისში ჩემთან ერთად იყო, ბათუმის ამბები რომ დაიწყო“

**11-12 მარტს ბათუმის მოვლენებში ბრალდებულ ირაკლი ჩხვირკიას და მერაბ ღოღობერიძეს სასამართლომ წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. მოსამართლის გადაწყვეტილებას დარბაზში სერიოზული ხმაური და პროტესტი მოჰყვა. ჩხვირკიას ახლობლები აცხადებდნენ, რომ ის უდანაშაულოა და მოსამართლემ უსამართლო გადაწყვეტილება მიიღო.**

**სასამართლო პროცესს ნაციონალური მოძრაობის წევრი კობა ხაბაზიც ესწრებოდა, რომელიც ირაკლი ჩხვირკიას პოლიტპატიმარს უწოდებს და აცხადებს, რომ ბათუმის მოვლენების დროს ირაკლი მის გვერდით იყო თბილისში და მხოლოდ მაშინ ჩავიდა ბათუმში, როცა პროცესები დამთავრებული იყო.**

**„ახალი თაობა“ კობა ხაბაზთან ინტერვიუს გთავაზობთ.**

ნონა ცაბაძე

***– ბატონო კობა, თქვენ სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ განაცხადეთ, რომ მოსამართლემ უსამართლო გადაწყვეტილება მიიღო. რატომ თვლით, რომ უკანონო იყო ჩხვირკიას დაპატიმრება?***

– ირაკლი ჩხვირკიას ბრალი წაუყენეს ბათუმში მიმდინარე მოვლენების ორგანიზებისთვის. როგორ შეიძლება ირაკლი ორგანიზატორი ყოფილიყო, როდესაც ამ აქციის შესახებ მან ჩემთან ერთად გაიგო. ვიყავით თბილისში, პარტიის ოფისში. იქ ჩვენ გარდა იყო უამრავი ადამიანი და ყველამ იქ გავიგეთ ბათუმში მიმდინარე აქციის შესახებ.

***– მან ხომ გააკეთა ბათუმის მოვლენების დროს განცხადებები ბათუმიდან, ის ნაციონალებმა პარტიიდანაც ხომ გარიცხეთ ამის გამო?***

– ირაკლი ჩხვირკია თბილისიდან გავიდა ღამის პირველ საათზე. ეს ძალიან იოლად გადამოწმებადია და ეს ისედაც ძალიან კარგად იცის პროკურატურამ. ირაკლი ჩხვირკია ბათუმში ჩავიდა გამთენიას დაახლოებით ხუთის ნახევარზე. მაშინ, როდესაც მანქანებიც დამწვარი იყო, ყველა პროცესი დასრულებული იყო ფაქტობრივად. როგორ შეიძლება ირაკლი ჩხვირკია ყოფილიყო ამ აქციის ორგანიზატორი?!

***– ეს ინფორმაცია პროკურატურასაც ხომ ექნებოდა?***

– რასაკვირველია, იციან ამის შესახებ. ჩვენ გავაკეთეთ განცხადებები ამის თაობაზე. წარმოუდგენელი იყო ის, რაც გააკეთეს. აქ საუბარი არ არის ყურით მოთრეულ ამბავზე, აქ არის საუბარი ფაქტობრივ მტკიცებულებებზე. მარტო მე ხომ არ ვამბობ, რომ ის თბილისში იყო და ჩემ გვერდით იყო, რომ ერთად ვიყავით თბილისში, ამას დაახლოებით 30 კაცი დაადასტურებს. ამის შემდეგ, როდესაც ადამიანს ბრალს წაუყენებ ორგანიზატორობაზე, რა შეფასებები უნდა გავაკეთო გარდა იმისა, რომ ეს უნამუსობაა!

***– მას ხომ შეეძლო თბილისიდან ემართა პროცესები, როგორც ორგანიზატორს, ამისთვის აუცილებელი იყო ბათუმში ყოფნა?***

– თუ ასეა, ეს სატელეფონო ზარით ხომ უნდა განეხორციელებინა თბილისიდან?! ხომ შეეძლოთ ამოეღოთ სატელეფონო საუბრები და ეთქვათ, ირაკლი ჩხვირკიამ დაურეკა ვინმეს და მითითებები მისცა. გაეკეთებინათ ეს სატელეფონო ამონაწერები, მაგრამ რაც არ იყო, რას ამოიღებდნენ?! ვიმეორებ, ეს ყველაფერი ირაკლიმ თბილისში გაიგო.

***– რატომ გადაწყვიტა ბათუმში წასვლა?***

– ირაკლი დაიბადა, გაიზარდა იმ მხარეში, ირაკლი არის პოლიტიკურად აქტიური. ირაკლის რომ არ უნდა გაეკეთებინა ის განცხადება, რაც ბათუმში გააკეთა, ეს ვიცით ჩვენ და აქვე გიპასუხებთ ზემოთ დასმულ კითხვაზე, რომ ამის გამო ის დაისაჯა და პარტიიდან გაირიცხა. თუმცა ირაკლი რომ ორგანიზატორი არ არის, ირაკლი რომ კრიმინალი არ არის, ესეც ყველამ ვიცით! ის ზედმეტად ემოციური ადამიანია, მოჭარბებულად აქვს პატრიოტიზმი და ეს არ შეიძლება ადამიანს დანაშაულად ჩაეთვალოს!

***– ის დასაჯეთ მისი განცხადებების გამო, პარტიიდან გარიცხეთ, მაგრამ მაინც გვერდით უდგახართ და იცავთ?***

– ის გაირიცხა პარტიული დისციპლინის გამო, თორემ მას დანაშაული არ ჩაუდენია. პარტიული დისციპლინა სხვა არის, როდესაც შენ განცხადებებს აკეთებ, ეს უნდა შეათანხმო პარტიასთან. ირაკლი ჩხვირკიამ თავის სატელევიზიო გამოსვლებში და სასამართლო პროცესზეც თქვა, რომ მან პარტია არ ჩააყენა საქმის ყურში, რადგან იცოდა, რომ პარტია ამის წინააღმდეგი იქნებოდა, მაგრამ ეს ხომ არ არის არანაირი დანაშაული?!

***– ანუ გარიცხვას და ამ ბრალდებას ერთმანეთთან კავშირი არ აქვს?***

– აბსოლუტურად სხვა არის პარტიული დისციპლინა, რის გამოც ჩვენ ის დავადანაშაულეთ და სულ სხვაა, რის გამოც ის დააპატიმრეს, ბათუმის მოვლენების ორგანიზატორობისთვის. მას ამასთან კავშირი არ აქვს. ეს ყველაფერი აბსურდის თეატრია! ის, რაც გააკეთა პროკურატურამ და სამწუხაროდ ის, რაც გაკეთა მოსამართლემ, ყოველგვარ საზღვრებს სცდება! მოსამართლის აკანკალებული ხმა იყო ნათელი მაგალითი იმის, რომ მასზე განხორციელდა ძალიან დიდი ზეწოლა. მან ძლივს წაიკითხა თავისი სიტყვა. მოსამართლეს შეეძლო მოკლედ ეთქვა, ირაკლი ჩხვირკიას პატიმრობას ვუსჯი იმის გამო, რომ მე ვერ გავუძელი ზეწოლასო.

***– ფიქრობთ, რომ მოსამართლეზე ზეწოლა განხორციელდა?***

– კი არ ვფიქრობ, დარწმუნებული ვარ! ხმის კანკალით წაიკითხა განაჩენი. მან ძალიან კარგად იცოდა, რომ დიდ უსამართლობას და



**„ეროვნული მოძრაობიდან დღემდე რა არ ვნახე და არ გამოვიარე და ირაკლი ჩხვირკიას და მერაბ ღოღობერიძის ერთ განსასჯელის სკამზე ჯდომას ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი“**

უსინდისობას სჩადიოდა.

***– ჩხვირკიასთან ერთად პატიმრობა ღოღობერიძესაც მიესაჯა. რაც უნდა პარადოქსული იყოს, ერთი ნაციონალური მოძრაობის წევრი იყო, მეორე – „ოცნების“ მხარდამჭერი. ამას რით ხსნით?***

– მთელი ჩემი ცხოვრება აქტიურ პოლიტიკაში ყოფნა მიხდება. დაწყებული 1987 წლიდან დღემდე. მე თუ რამე გამაკვირვებდა, ნამდვილად აღარ მეგონა. ეროვნული მოძრაობიდან დღემდე რა არ ვნახე და არ გამოვიარე და ირაკლი ჩხვირკიას და მერაბ ღოღობერიძის ერთ განსასჯელის სკამზე ჯდომას ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი. ნახევრად იუმორისტულად მინდა ამ ყველაფერს შევხედო, იმიტომ, რომ ასეთი აბსურდის თეატრი შეიძლება დაედგა მხოლოდ და მხოლოდ ქოცების ხელისუფლებას.

***– ღოღობერიძის ბრალეულობაზე რას იტყვით?***

– რაც შეეხება ღოღობერიძეს, არის თუ არა ის დამნაშავე? არ ვიცი! არის თუ არა ის ორგანიზატორი? არ ვიცი! იმიტომ, რომ მასთან არანაირი შეხება არ გვქონია. მე ვიცი ზუსტად ის, რომ ირაკლი ჩხვირკია ამის ორგანიზატორი არ არის! ჩვენ ერთად ვიყავით, როდესაც ეს ამბავი გავიგეთ თბილისში.

***– მაშინ ვინ არის ორგანიზატორი? თავიდანვე გაკეთდა განცხადებები და მინიშნებები, რომ ამის უკან ნაციონალური მოძრაობა იდგა.***

– ძალიან დიდი გამოცდილება მაქვს და შემიძლია დაზუსტებით გიპასუხოთ. აქცია წარმოიშვა სპონტანურად. ეს განაპირობა იმან, რომ მართლაც უპრეცედენტოდ მაღალი იყო დაჯარიმებულთა რაოდენობა. ხოლო რაც შეეხება მანქანების დაწვას, რაც შეეხება მოლოტოვის კოქტეილებს, დარწმუნებული ვარ, რომ ეს იყო ხელისუფლების ორგანიზებული ღონისძიება.

***– ეს რისთვის სჭირდებოდა?***

– იმისთვის, რომ ჩვენი დისკრედიტაცია მოეხდინა და ეს გადმოებრალებინა ნაციონალური მოძრაობისთვის! ასევე ამით საპროტესტო ტალღის დისკრედიტაცია მოეხდინა! ნებისმიერი აქცია ბათუმში მცხოვრები ადამიანისთვის ამის შემდეგ ასოცირებული იქნება ძალადობასთან და ასე შემდეგ. გარდა ამისა, ის ადამიანები, რომლებიც დახტოდნენ მანქანებზე, რომლებიც ამტვრევდნენ და ლეწავდნენ, ამის არაერთი ვიდეო კადრი არსებობს, მიუხედავად იმისა, რომ მათ სახეზე ნიღბები ჰქონდათ, ვერავინ დამაჯერებს, რომ მათი ამოცნობა რთული იყო. რატომ არ არიან ეს ადამიანები დაკავებულები?! ამის რესურსი პოლიციას ნამდვილად აქვს. ეს ადამიანები კი დღემდე თავისუფლად დადიან.

***– ეს კითხვებს აჩენს?***

– რადგან ეს ადამიანები დღემდე არ არიან დაკავებულები, არავის უთქვამს მათი სახელები და გვარები, ეს კიდევ უფრო მიმტკიცებს რწმენას, რომ ის ნიღბიანები სპეციალურად ხელისუფლების მიერ იყო შემოგზავნილი!

***– იმის თქმა გინდათ, რომ ეს აქცია ხელისუფლების ინტერესში შედიოდა?***

– აქცია არა, ხელისუფლების ინტერესში შედიოდა აქციის დისკრედიტირება! მათ სწორედ აქციის დისკრედიტირება მოახდინეს და ასევე ეს ყველაფერი ოპოზიციას გადააბრალეს.

ჩვენ ბრძოლას გავაგრძელებთ, დაწყებული დიპლომატიური კორპუსებიდან, დამთავრებული საპროტესტო გამოსვლებით, მის მხარდასაჭერად ყველა ღონეს მივმართავთ. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ირაკლი ჩხვირკია არ იყოს პატიმრობაში! ამ საქმეში კითხვის ნიშანიც კი არ არის, გონივრული ეჭვის საფუძველიც კი არ არსებობს. ეს ხელისუფლებამაც მშვენივრად იცის. ირაკლი ჩავიდა მაშინ, როდესაც პროცესები იყო დასრულებული.

***– რა იყო ირაკლის შეცდომა, არ უნდა ჩასულიყო ბათუმში? თუ მისმა განცხადებებმა განაპირობა ეს შედეგი?***

– როდესაც ხელისუფლებას რაღაც ბინძური ღონისძიება აქვს დაგეგმილი, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, შენ ჩახვალ თუ არ ჩახვალ. ხელისუფლებას, რომელსაც შეუძლია, რომ ადგეს და ჩაგიდოს ნარკოტიკი, ჩაგიდოს იარაღი, ხელისუფლებას, რომელსაც შეუძლია იქ არ იყო და ორგანიზატორობა დაგაბრალოს, ასეთ დროს არანაირი აზრი არა აქვს იმაზე ფიქრს, მე რომ ეს განცხადებები არ გამეკეთებინა, ეს არ მოხდებოდა.

ჩვენ უნდა ვიფიქროთ იმაზე, როგორ შევცვალოთ ეს სამარცხვინო ხელისუფლება, რადგან სხვა გზა აღარ გვრჩება!

## მამუკა მდინარაძე: „პრეზიდენტი ჯიბრში ჩაუდგა კომისიას“

– მხოლოდ იმის გამო, რომ კომისიის თანათავმჯდომარეობაზე პრეზიდენტს უარი ეთქვა და ამას დასაბუთებული იურიდიული არგუმენტიც ჰქონდა, ჯიბრში ჩაუდგა კომისიას, – ასე გამოეხმაურა ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე მამუკა მდინარაძე საკონსტიტუციო კომისიის კრიტიკას საქართველოს პრეზიდენტის მხრიდან.

მამუკა მდინარაძემ საკონსტიტუციო კომისიის მუშაობის შესახებაც გააკეთა კომენტარი და აღნიშნა, რომ რაც უფრო წინ მიდის პროცესი და იხვეწება კონსტიტუციის პროექტი, მით უფრო მძაფრდება პროტესტი ოპონენტების მხრიდან.

– რაც უფრო წინ მიდის პროცესი და იხვეწება კონსტიტუციის პროექტი, მით უფრო მძაფრდება პროტესტი ჩვენი ოპონენტების მხრიდან. პრეზიდენტი, მხოლოდ იმის გამო, რომ კომისიის თანათავმჯდომარეობაზე უარი ეთქვა და ამას დასაბუთებული იურიდიული არგუმენტიც ჰქონდა, თავიდანვე ამ პროტესტის მონაწილე გახდა და ჯიბრში ჩაუდგა კომისიას. მისი ადმინისტრაცია უკვე პირდაპირ ტყუილსაც აღარ ერიდება.

მათ განაცხადეს, რომ ცვლილებების გატანა კომისიის შემადგენლობის ცვლილების გზით მოხერხდა. შეგახსენებთ, რომ კენჭისყრაზე დაფიქსირდა 43 მომხრე 8-ის წინააღმდეგ და ხმების ეს რაოდენობა ნებისმიერ შემთხვევაში იყო გამსვლელი. რაც შეეხება შემადგენლობაში ცვლილებას, ეს სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლების კომისიიდან გასვლის სამართლებრივად ასახვამ გამოიწვია. ამან ერთადერთი რამ შეცვალა – არასამთავრობების და ექსპერტების მიერ დაყენებულ ალტერნატიულ წინადადებებს გაუჩნდათ მხარდაჭერის მოპოვების მეტი შანსი და რამდენიმე შემთხვევაში ეს ასეც მოხდა, – განაცხადა მამუკა მდინარაძემ.

## ნუკრი ქანთარია: „მარგველაშვილს ყოველთვის გაურბის თვალი და უნდა, რომ სხვა საქმეებშიც ჩაერიოს“

– როგორც ჩანს, პრეზიდენტი მოწყურებულია ბევრ საქმეს, – ამის შესახებ „ქართული ოცნების“ წევრმა ნუკრი ქანთარიამ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა. ჟურნალისტები დაინტერესდნენ, თუ რატომ არის საქართველოს პრეზიდენტის მხრიდან კრიტიკა საქართველოს კონსტიტუციის წარმოდგენილი ვერსიისადმი.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრის ნუკრი ქანთარიას შეფასებით, საქართველოს პრეზიდენტს ყოველთვის „გაურბის თვალი და უნდა, რომ სხვა საქმეებშიც ჩაერიოს“. მისი თქმით, საპარლამენტო რესპუბლიკის შემთხვევაში, პრეზიდენტის მოვალეობა იქნება არბიტრის ფუნქცია. შესაბამისად, სამომავლოდ პარლამენტის მიერ არჩეულ პრეზიდენტს აღარ მოუწევს ყოველდღიურ საქმეებში ჩარევა.

– რაც შეეხება პრეზიდენტის არჩევას, მე რამდენჯერმე მითქვამს და ვფიქრობ, რომ კოლეგიის მიერ არჩეული პრეზიდენტი გაცილებით უფრო უპრიანია საპარლამენტო მოდელზე საუბრისას. რათა არ მოხდეს საყოველთაო მაღალი ლეგიტიმაციით არჩეული პრეზიდენტის და ამავე დროს მისი უფლება-მოვალეობების დისბალანსი. როგორც ჩანს, პრეზიდენტი მოწყურებულია რაღაც გარკვეულ ბევრ საქმეს. პრეზიდენტი საპარლამენტო მოდელის დროს არის უფრო სიმბოლო და არბიტრი. გარკვეულად ოქროს სათადარიგო მოთამაშე, რომ კრიზისის დროს უნდა ჩაერთოს და იყოს წარმომადგენლობითი და არა ის, რომ ყოველდღიურ საქმიანობაში მიიღოს მონაწილეობა. მარგველაშვილს ყოველთვის გაურბის თვალი იქითკენ და უნდა, რომ სხვა საქმეებშიც ჩაერიოს. შეიძლება ეს არის კრიტიკის მიზეზი, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ უფუნქციო პრეზიდენტია, – განაცხადა ქანთარიამ.

ჟურნალისტები დაინტერესდნენ, რამდენად გამოსდის მოქმედ პრეზიდენტს არბიტრის როლის შესრულება.

– არბიტრის როლის შესრულება, ვფიქრობ, რომ მაინცდამაინც ისე ვერ არის როგორც უნდა იყოს. პრეზიდენტი უნდა იყოს ისეთი ავტორიტეტი და არ უნდა იღებდეს ყველაფერში მონაწილეობას, არ უნდა გაიცვითოს. გინდა თუ არა, მე ვიქნები საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარეო, ასეთ რამეში მან არ უნდა მიიღოს მონაწილეობა. ის უნდა უყურებდეს მთლიან სურათს. თუ იქნება სახალხო არჩევნები პირდაპირი წესით, რაზე უნდა ელაპარაკოს მას ხალხი, ან რას უნდა დაჰპირდეს მათ – მე არბიტრი ვარო, ამას ხომ არ ეტყვის? – აღნიშნა საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# სოსო შატბერაშვილი: „მიწის უცხოელებისთვის მიყიდვის შეზღუდვა უნდა ჩაიდოს კონსტიტუციაში“

## „ბლოკების აკრძალვა ამ ეტაპზე ნიშნავს პოლიტიკური ცხოვრების შეჩერებას“

მარიამ მჭედლიშვილი

ქვეყანაში მიმდინარე აქტუალურ საკითხებზე „ახალი თაობა“ მემარცხენე ალიანსის გენერალურ მდივან სოსო შატბერაშვილს ესაუბრა.

***– თქვენი პარტია გამოვიდა ინიციატივით, დაინიშნოს რეფერენდუმი მიწის საკითხზე. ამ რეფერენდუმზე მოსახლეობამ უნდა გამოთქვას მოსაზრება, სურს თუ არა სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელებისთვის მიყიდვა. იმედი გაქვთ, რომ რეფერენდუმს მიაღწევთ? ხელისუფლების წარმომადგენლებს არაერთხელ უთქვამთ, რომ რეფერენდუმი საქართველოს მთელ ტერიტორიაზეა ჩასატარებელი, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა კი დარღვეულია.***

– სარეფერენდუმო განაცხადი უკვე შევიტანეთ ცესკოში. თუ იქიდან უარყოფითი პასუხი მივიღეთ, მაშინ პლებისციტს მოვითხოვთ. ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაკავშირება რეფერენდუმთან არასწორი და თითიდან გამოწოვილი საბაბია. ჩინეთი ვერ აკონტროლებს ტაივანს. ამის გამო იქ რეფერენდუმი ვერ უნდა მოაწყონ? მრავალი წლის განმავლობაში გაყოფილი იყო გერმანია. იმის გამო, რომ გერმანიის ნაწილის ოკუპაცია მოახდინა საბჭოთა ჯარმა, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში რეფერენდუმი უნდა აეკრძალათ? არც საქართველოში უნდა ვთქვათ უარი რეფერენდუმებზე.

***– სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელებისთვის მიყიდვაში საფრთხეს ხედავთ?***

– რასაკვირველია. დღეს ჩვენი მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა მძიმეა, მაგრამ დადგება დრო, როცა ეკონომიკურად წელში გავიმართებით. იქნება პერიოდი, გლეხი შეძლებს მიწის დამუშავებას, მოსავლის მოყვანას და რეალიზაციას. ისე არ უნდა გავაკეთოთ, რომ ჩვენს მოქალაქეებს ერთი გოჯი მიწა აღარ დავუტოვოთ.

***– შეიძლება ასეც მოხდეს?***

– რა თქმა უნდა! საქართველოში არსებობს ადგილები, სადაც 1 კვადრატული მეტრი მიწის ფასი 1 ლარია. ქართლში ნოყიერი, ნაყოფიერი მიწის ღირებულება კი 5-დან 10 ლარამდეა. ჩვენს მიწებს ჩალის ფასად ხელში ჩაიგდებენ უცხოელები.

სასოფლო-სამეურნეო მიწისადმი დიდ ინტერესს ამჟღავნებენ არაბები, თურქები და სხვები. ჩვენს მოქალაქეებს ფული არ გააჩნიათ. ცოტა ხნის წინ თვითმფრინავით ვიმგზავრე და მისი სარკმლიდან მკაფიოდ დავინახე ქართლის დაუმუშავებელი მიწა რუსთავის მიმდებარე ტერიტორიაზე. მიწის დამუშავებას საწვავი და ტექნიკა სჭირდება. მოსახლეობას ამის ფული არ აქვს. თუ რომელიმე უცხოელს აქვს სურვილი, ჩადოს ფული სოფლის მეურნეობაში, მოიყვანოს მოსავალი, მას გრძელვადიანი იჯარა უნდა შევთავაზოთ.

***– იჯარით მიწის გაცემას არ ეწინააღმდეგებით?***

– ამას მხარს ვუჭერთ. გაყიდვას ვეწინააღმდეგებით. გრძელვადიანი იჯარა შეიძლება იყოს 30 ან 50 წლიანი. გაყიდვა სხვაა. ეს გამოიწვევს უცხოელების დიასპორების გაჩენას. ახლად ჩასახლებულები მოითხოვენ თვითმმართველობას, გაზრდილ უფლებებს, რაც უმცირესობაში მოაქცევს ჩვენს მოსახლეობას.

***– დემოგრაფიული მდგომარეობა ისედაც მძიმეა.***

– დიახ და ამას გაეროც ადასტურებს. გაერომ ქართველები შეიყვანა იმ ერთა სიაში, რომლებსაც გადაშენება ემუქრება. მიწების პრობლემა მე-19 საუკუნეშიც გვქონდა. მაშინ ილია ჭავჭავაძემ დააარსა საადგილმამულო-სათავადაზნაურო ბანკი, რომელსაც ქართველი თავადების მიერ გირაოში ჩადებული მამულები უნდა გამოესყიდა.

მიწის უცხოელებისთვის მიყიდვის შეზღუდვა უნდა ჩაიდოს კონსტიტუციაში. ზოგიერთი პარტია პრეზიდენტის უფლებებსა და არჩევაზე ტეხს ხმაურს. ხალხს ყოველდღე ვხვდებით. მინდა ვთქვა, რომ მოსახლეობას პრეზიდენტის არჩევის წესი სულ არ ადარდებს.

***– ხალხს პრეზიდენტის უფლებების შეკვეცა და არჩევის წესის შეცვლა აქტუალურად არ მიაჩნია?***

– არ მიაჩნია. ის პარტიები, რომლებსაც ჰგონიათ, რომ ამ საკითხის გამო ხალხი ქუჩაში გამოვა, ცდებიან, მიწის საკითხი კი ყველასთვის მტკივნეულია.

***– საბოლოოდ შევა კონსტიტუციაში სასოფლო-სამეურნეო მიწასთან დაკავშირებული ჩანაწერი?***

– თუ ხალხმა მოინდომა, შევა. იწყება საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა. ხალხმა ამ შეკრებებზე თავისი აზრი უნდა გამოხატოს. კონსტიტუციის თაობაზე ერთი განსხვავებული და ახალი ინიციატივა გვაქვს. ჩვენი აზრით, კონსტიტუცია ორი მოწვევის პარლამენტმა უნდა მიიღოს.

***– ეს თავიდან აგვაცილებს კონსტიტუციის ნაჩქარევად შეცვლას?***

– დიახ და კონსტიტუციას ექნება მაღალი ლეგიტიმაცია. ერთი მოწვევის პარლამენტმა კონსტიტუცია მხოლოდ პირველი მოსმენით უნდა მიიღოს, დანარჩენი – მომავალი პარლამენტის საქმეა. ეს წესი რომ ადრე გვქონოდა, სააკაშვილი თავის თავზე ვერ მოირგებდა კონსტიტუციას.

***– ბლოკების აკრძალვას თუ გადაიფიქრებს „ქართული ოცნება“?***

– კარგი იქნება, თუ გადაიფიქრებს. კონსტიტუციაში შესატან ცვლილებებს „ოცნების“ გარდა, არავინ უჭერს მხარს. დადებითად ვაფასებ მაჟორიტარული სისტემის გაუქმებას. ბლოკების აკრძალვას თითქმის ყველა ეწინააღმდეგება. ეს ნიშნავს საქართველოში პოლიტიკური ცხოვრების შეწყვეტას.

ხელისუფლება ქვეყანაში ყოველთვის ბლოკებით იცვლებოდა. ასე იყო გამსახურდიას „მრგვალი მაგიდის“, სააკაშვილის ნაციონალური მოძრაობისა და ივანიშვილის „ქართული ოცნების“ შემთხვევებში.

ჩვენ აშშ-სა და ბრიტანულ მოდელებს ამჟამად ვერ გადმოვიღებთ. საქართველოში 240 რეგისტრირებული პარტიაა. მოვა დრო და დარჩება მხოლოდ 4 ან 5 ძლიერი პარტია. იმ დროისთვის ბლოკების საჭიროება თავისით მოიხსნება. ბლოკების აკრძალვას კანონი არ დასჭირდება. „ქართულ ოცნებას“ მინდა მოვუწოდო, არ შეიტანოს კონსტიტუციაში ბლოკების აკრძალვის მუხლი. რომ არა ბლოკი, „ოცნება“ 2012 წელს სააკაშვილს ვერ დაამარცხებდა და ხელისუფლებას ვერ შეცვლიდა.

# „დავით სერგეენკო ან კახა კახიშვილი თბილისის მერის არჩევნებს უპრობლემოდ მოიგებენ“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე საუბრობს.

***– ბატონო სოსო, ადგილობრივ არჩევნებზე როგორ შეიძლება მოვლენები განვითარდეს? პოლიტიკურად წონიან კანდიდატებს ელოდებით?***

– არჩევნების ბედს დედაქალაქი წყვეტს. უფრო კრიტიკულად და ობიექტურადაც არის განწყობილი თბილისში მოსახლეობა ხელისუფლებისადმი, ეს ასე იყო წინა ხელისუფლების დროს და ასეა ახლაც. აქ მოსახლეობა ნაკლებად ემორჩილება ზეწოლას.

რაც შეეხება თქვენი კითხვის მეორე ნაწილს, წონიან კანდიდატებს, ოპოზიცია ვერ განთავისუფლდა რომანტიკული ამბიციებისგან. საინტერესო მომენტი დგება: თუ საარჩევნო ბლოკები აიკრძალება, ამით ერთი მხრივ მმართველმა ძალამ ხაფანგი დაუგო ოპოზიციას, მაგრამ მეორე მხრივ, არ არის გამორიცხული, რომ ოპოზიცია მიხვდეს, რომ სხვა ალტერნატივა არ აქვთ, გარდა გაერთიანებისა.

თითო-ორკაციანი პარტიების ლიდერები უნდა მიხვდნენ, რომ ჩაატარონ შიდა პრაიმერიზი და ერთ დიდ გაერთიანებად გაერთიანდნენ და ერთი ლიდერი ჰყავდეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ოპოზიციას არაფერი გამოუვა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ორკაციანი პარტიების ლიდერებს ურჩევნიათ, ლიდერი ერქვათ და ცნობადი სახე იყვნენ.

ალბათ ეს ადამიანები არც კი ფიქრობენ გამარჯვებაზე, ესეც აკმაყოფილებთ. პირველობის მანიისგან სანამ არ განთავისუფლდება ოპოზიცია, მანამდე არაფერი არ ეშველება. ურჩევნიათ, მარგინალებში იყვნენ და არიან კიდეც.

***– თბილისის მერის არჩევნებში ოპოზიციის შანსია გაერთიანება და ერთი კანდიდატის დაყენება?***

– ეს არათუ შანსი, სხვა ალტერნატივა უბრალოდ არ აქვს ოპოზიციას.

***– თუმცა, ეს ჩვენს რეალობაში წარმოუდგენელია.***

– დიახ, სრულიად წარმოუდგენელია და ამიტომ ვამბობ, რომ მარგინალებში ყოფნა ურჩევნიათ. ხელისუფლებამ ოპოზიციას თითქოს ხაფანგი დაუგო, როდესაც ბლოკების აკრძალვაზეა საუბარი, მაგრამ თეორიული შანსია, რომ ამ ხაფანგში თავად გაებას.

***– როგორ?***

– როდესაც ოპოზიცია მიხვდება, რომ უნდა გაერთიანდეს და ერთი ძლიერი კანდიდატი დააყენოს.

***– რა შანსები აქვს დავით უსუფაშვილს, შეიძლება ოპოზიციის ლიდერი იყოს?***

– არა მგონია. დათო უსუფაშვილის აქტივში რაც არის დღეს, იმაზე საქართველოში მოთხოვნილება არ არის. ინტელექტუალური, ბრძენი, უკვე ჩამოყალიბებული ცივილიზებული პოლიტიკოსი არავის სჭირდება.

***– პოლიტიკური დაძაბულობა მოიმატებს?***

– დაძაბულობა არ მოიმატებს, მაგრამ ხელისუფლების გასაგონად უნდა ვთქვა, რომ მოიმატებს უკმაყოფილება. ოპოზიცია კი საუბრობს, რომ მოთმინების ფიალა წვეთ-წვეთობით ივსება და დაძაბულობა მოიმატებს, მაგრამ ასე არ მოხდება.

***– ხელისუფლება ადეკვატურ ნაბიჯებს გადგამს?***

– მხოლოდ ამაში არ არის საქმე, დაძაბულობამ რომ ამოხეთქოს, ამისთვის საჭირო არის ლიდერი. ლიდერი კი არ არსებობს. დღეს საქართველოში არ არის ქარიზმატული, ბარიკადებზე ამსვლელი ლიდერი, რომელსაც ხალხი გაჰყვება.

კომუნისტური რეჟიმის დროს ასეთი ლიდერი ნამდვილად იყო ზვიად გამსახურდია, თავის დროზე მიხეილ სააკაშვილსაც გაჰყვა ხალხი, ქარიზმატული იყო, მაგრამ დღეს ასეთი ქარიზამტული ლიდერები არ არიან. დღეს მომრავლდნენ შემგუებლები და ნარცისები, რომლებიც საკუთარი ლიდერობით ტკბებიან, მეტი არც არაფერი ადარდებთ.

***– ხელისუფლების სავარაუდო კანდიდატები სახელდებიან, ყველაზე მეტი შანსი მაინც ვის აქვს?***

– დავით სერგეენკო თუ ჯანდაცვის მინისტრის პოსტიდან გადადგება და კენჭს იყრის თბილისის მერობაზე, უალტერნატივო იქნება. იგივეს ვიტყოდი სასჯელაღსრულების მინისტრ კახი კახიშვილზე. ეს ადამიანები ხელისუფლების ის სახეები არიან, რომლების მიმართ არ ყოფილა პრეტენზია და მე მჯერა, რომ ისინი გაიმარჯვებენ. თუმცა, თუ ბიძინა ივანიშვილი იტყვის, რომ ნარმანია კარგი მერი იყო, მერწმუნეთ, ნარმანიაც გაიმარჯვებს. ნარმანიამ თქვა, თუ ჩემი პარტია გადაწყვეტს, რომ მე ვიყარო კენჭი, ვიყრიო. ეს განცხადება არ მიანიშნებს მაინცდამაინც დამოუკიდებლობის ეფექტზე.

უცხოელ ვიზიტორებში გამოკითხვა ჩატარდა და იცით, თბილისში რა არ მოსწონთ? გზები, ტრანსპორტი და ქუჩები რომ დაბინძურებულია. ეს ის პრობლემებია, რომლებიც კვლავ აქტუალური რჩება.

***– ხშირად ამბობენ, რომ მერი უნდა იყოს მეურნე და არა – პოლიტიკოსი. ეთანხმებით ამ შეხედულებას?***

## სოსო ცინცაძე: „ოპოზიციის შანსი გაერთიანებასა და ერთ ლიდერშია“

– პოლიტიკოსიც შეიძლება იყოს, მაგრამ ამავდროულად უნდა იყოს საქმის მცოდნე, ადეკვატური გადაწყვეტილებების მიმღები, პროფესიონალი, რომელიც ქალაქისთვის იღებს საუკეთესო გადაწყვეტილებას, რომლისთვისაც პრიორიტეტი არის თბილისი და სხვა არაფერი. სამწუხაროდ, თბილისისთვის ყველაზე კარგი მერი ეროვნებით სომეხი იყო.

**გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# ნინო ბურჯანაძე ირაკლი კობახიძეს სასამართლოში უჩივის

შორენა მარსაგიშვილი

პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძეს შესაძლოა სასამართლოს წინაშე მოუწიოს თავის მართლებამ. მას პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე უჩივის.

ეს პირველი შემთხვევაა, როცა ბურჯანაძე პარლამენტის მოქმედ თავმჯდომარეს უპირისპირდება. სპიკერის მამა გია კობახიძე ნინო ბურჯანაძის ერთგული თანამებრძოლი იყო. მამა კობახიძემ დემოკრატიული მოძრაობა მხოლოდ იმიტომ დატოვა, რომ მისი ვაჟი „ქართულ ოცნებაში“ მაღალ თანამდებობაზე დაინიშნა.

მისი წასვლის შემდეგ, ისევე, როგორც მანამდე, ბურჯანაძე „ქართულ ოცნებას“ ხშირად და მწვავედ აკრიტიკებდა, მაგრამ კობახიძე-ჯუნიორს არასდროს შეხებია. საკონსტიტუციო კომისიაში დატრიალებული ამბების შემდეგ კი ყოფილმა სპიკერმა მოქმედის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელის შეტანა გადაწყვიტა.

ბურჯანაძის რისხვა კობახიძემ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამო დაიმსახურა. მან საკონსტიტუციო კომისიის დასკვნითი სხდომის წინ მისი 13 წევრი სიიდან ამოიღო.

დემოკრატიული მოძრაობის ლიდერის განმარტებით, ეს იყო უპრეცედენტო, დაუსაბუთებელი და ჩუმად მიღებული გადაწყვეტილება.

მისი თქმით, ამ ყველაფრის უკან ყოფილი პრემიერი ბიძინა ივანიშვილი დგას, რომელმაც შუშის სასახლეში დაწერა საკუთარ თავზე მორგებული კონსტიტუცია.

– ბიძინა ივანიშვილს სჭირდება ქვეყანა იმისთვის, რომ საკუთარი ინტერესები განახორციელოს და მართოს ის ისე, როგორც საკუთარი კერძო კომპანია. ძალიან კარგად ვიცით, რომ ყველა პოლიტიკურმა პარტიამ, გარდა „ქართული ოცნებისა“, ბოიკოტი გამოუცხადა შემაჯამებელ შეკრებას და პროექტს კონსტიტუციისა, რომელიც ჩვენ წარმოგვიდგინეს შუშის სასახლიდან.

ჩვენ წარმოვადგინეთ ძალიან ბევრი ინიციატივა, დაწყებული მიწის გაყიდვის აკრძალვიდან, დამთავრებული სხვა უმნიშვნელოვანესი საკითხებით, მაგრამ არც ერთი ეს წინადადება კომისიაზე გათვალისწინებული არ ყოფილა. შესაბამისად, დადასტურდა ის, რასაც ვამბობდით. შუშის სასახლეში დაწერილი კონსტიტუცია საბოლოო სახით წარმოგვიდგინეს საკონსტიტუციო კომისიაზე, – ამბობს ბურჯანაძე.

პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე იმასაც განმარტავს, თუ რატომ უჩივიან მხოლოდ ირაკლი კობახიძეს.

მიზეზი ასეთია:

– ჩვენ მივმართავთ სასამართლოს „ქართული ოცნებისა“ და პირადად ირაკლი კობახიძის წინააღმდეგ სარჩელით, ვინაიდან ირაკლი კობახიძემ პარლამენტის თავმჯდომარის რანგში მიიღო უპრეცედენტო გადაწყვეტილება და საკონსტიტუციო კომისიის დასკვნითი სხდომის წინა დღეს უჩუმრად პოლიტიკური პარტიების წამორმომადგენლები ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლების გარეშე ამოიღო კომისიის სიიდან. „ქართული ოცნების“ ლიდერებმა პირდაპირ განაცხადეს, რომ „ქართული ოცნების“ მიზანი იყო, გადაწყვეტილებების მისაღებად საჭირო კვორუმი ჰქონოდათ და არ დაფიქსირებულიყო ბევრი უარყოფითი ხმა.

წარმოიდგინეთ, რომ ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით ბოიკოტის რეჟიმში მყოფი დეპუტატები პარლამენტის თავმჯდომარეს ამოეღო საპარლამენტო სიიდან, შეეცვალა კვორუმი და კენჭისყრა ისე ჩაეტარებინა. სწორედ ასეთი უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო ირაკლი კობახიძემ.

იურისტ ნინო ბურჯანაძის განმარტებით, უხეშად იქნა შელახული დემოკრატიული მოძრაობის წარმომადგენლის, დიმიტრი ლორთქიფანიძის და, შესაბამისად, მათი პარტიის კონსტიტუციური უფლება,

– ჩვენ შეგნებულად ჩამოგვართვეს საშუალება, დაგვეფიქსირებინა ნეგატიური პოზიცია საკონსტიტუციო კომისიის მუშაობაში და უბრალოდ ამოგვშალეს სიიდან ისევე, როგორც დანარჩენი 13 პარტია, – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

◆ ◆ ◆

ბურჯანაძის სარჩელმა შესაძლოა უფრო ფართო მასშტაბები მიიღოს.

გუშინ, 26 აპრილს, ამ თემაზე ოპოზიციურ პარტიებში უკვე მიმდინარეობდა კონსულტაციები.

სარჩელს სავარაუდოდ ის პარტიებიც შეუერთდებიან, რომლებიც საკონსტიტუციო კომისიაში თავიდანვე არ შეიყვანეს.

ერთ-ერთი მათგანია „თავისუფალი საქართველო“. მისი ლიდერი კახა კუკავა „ახალ თაობასთან“ საუბარში აცხადებს, რომ ამ სარჩელს ვენეციის კომისიისთვის დიდი მნიშვნელობა ექნება.

– ვფიქრობ, დემოკრატიულმა მოძრაობამ მიიღო სწორი გადაწყვეტილება. ჩვენ აუცილებლად მივიღებთ ამ პროცესში მონაწილეობას. სასამართლოში სარჩელი აუცილებლად უნდა შევიდეს. ირაკლი კობახიძემ გადაწყვეტილება კანონის ნორმების უხეში დარღვევით მიიღო, – ამბობს კახა კუკავა „ახალ თაობასთან“ საუბარში.

მისი თქმით, პარლამენტის თავმჯდომარის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში წერია, რომ მისი გასაჩივრება განეკუთვნება სასამართლოს იურისდიქციას.

– ჩვენ ამ უფლებას აუცილებლად გამოვიყენებთ, – აღნიშნავს „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი.

ყოფილი დეპუტატისთვის ძნელად ასახსნელია, თუ რატომ მიიღო პარლამენტის მოქმედმა თავმჯდომარემ ასეთი გადაწყვეტილება.

– ამაზე ვერც სხვა გაგცემთ პასუხს, რადგანაც ეს გადაწყვეტილება არის სისულელის და არაპროფესიონალიზმის ნაზავი. „ქართული ოცნება“ სასურველი გადაწყვეტილების მიღებას იმ შემთხვევაშიც შეძლებდა, თუ ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები კომისიაში დარჩებოდნენ, – ამბობს კუკავა.

ბუნებრივია, იბადება კითხვა, თუ ოპოზიციონერების იქ ყოფნის შემთხვევაშიც იგივე გადაწყვეტილებას მიიღებდა „ოცნება“, რა აზრი აქვს მათი ამოშლის გასაჩივრებას?

იურისტი კახა კუკავა ამ კითხვას ასე პასუხობს:

– ეს არის წმინდა სამართლებრივი შეცდომა და ვალდებულები ვართ, მასზე რეაგირება მოვახდინოთ. ჩვენი სარჩელი იმდენად დასაბუთებულია, რომ დღევანდელი სასამართლოც კი ვერ გაბედავს მის დაუკმაყოფილებლობას. ერთადერთი, რისი გაკეთებაც შეუძლიათ, ისაა, რომ ან დროში გაწელონ, ან რაღაც პროცედურული ხრიკები მოიფიქრონ.

მაშინაც კი, თუ ის დროში გაიწელა, სარჩელის დაკმაყოფილებას მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით ვენეციის კომისიისთვის.

„თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი მიიჩნევს, რომ ოპოზიცია ვალდებულია, ერთად დაუპირისპირდეს ხელისუფლებას. კუკავას თქმით, ასეთ ერთპიროვნულ გადაწყვეტილებებს სააკაშვილის დროსაც კი არ იღებდნენ.

– ამათ შემხედვარე შევარდნაძის მმართველობის ხანა ლამის დემოკრატიულ სამოთხედ ჩანს. ნათლად გამოიყურება სააკაშვილიც. ის დემოკრატი არ ყოფილა, მაგრამ კონსტიტუციის განხილვისას ისიც კი დგამდა რაღაც დემოკრატიულ სპექტაკლებს. „ქართული ოცნება“ კი ყველაფერს ერთპიროვნულად აკეთებს. ისინი ცუდად დაამთავრებენ, – ასეთია კახა კუკავას პროგნოზი.

ანალოგიურ პროგნოზს აკეთებს „ახალი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი ლევან ხაბეიშვილიც.

მისი თქმით, საქართველოში ყველა ცუდად ამთავრებს, ვინც ერთპიროვნულად ცდილობს ქვეყნის მართვას.

– თავის დროზე ნაციონალებმაც თავის თავზე მოირგეს კონსტიტუცია, ყველაფერი იქითკენ მიდიოდა, რომ ისინი დიდი ხნის მანძილზე უნდა ყოფილიყვნენ ხელისუფლებაში, მაგრამ ვნახეთ, რომ კონსტიტუციაში სათავისოდ შეტანილი ცვლილებების მიუხედავად, ნაციონალური მოძრაობა დამთავრდა. „ქართული ოცნებაც“ დამთავრდება, მათ ხუჭუჭა კობახიძის მიღებული გადაწყვეტილება ვერ უშველის, – ამბობს „ახალ თაობასთან“ საუბარში ხაბეიშვილი.

პოლიტიკური კარიერის დასრულებამდე, ხაბეიშვილის თქმით, ხელისუფლება ერთპარტიული მმართველობის დამყარებას შეეცდება.

## ლევან ხაბეიშვილი: „კარგი იქნებოდა, ოპოზიციას თავიდანვე ეფიქრა ბოიკოტზე“

– სწორედ ამას ემსახურება კონსტიტუციაში შესული ცვლილებები. გადაუნაწილებელი მანდატების ხელისუფლებისთვის მიკუთვნება ამაზე პირდაპირ მეტყველებს. „ქართული ოცნება“ კი ამტკიცებს, რომ ეს სულ რაღაც 3%-ია, მაგრამ ტყუილია. ისინი ბევრად მეტ მანდატს მიიღებენ და სულ ხელისუფლებაში იქნებიან, – აღნიშნავს „ახალი საქართველოს“ წარმომადგენელი.

თავად „ახალი საქართველო“ საკონსტიტუციო კომისიაში არ შეიყვანეს. დაწუნებით კი, ხაბეიშვილის თქმით, შემდეგი მიზეზით დაიწუნეს:

– ამ კომისიაში მხოლოდ კვალიფიციური სუბიექტები იყვნენ მიწვეული. ჩვენ, „ახალ საქართველოს“, პაატა ბურჭულაძესთან ერთად გვქონდა შექმნილი საარჩევნო ბლოკი. ორივე პარტია კვალიფიციური სუბიექტი ვართ, მაგრამ კომისიაში მხოლოდ ბურჭულაძის პარტიის წარმომადგენელი შეიყვანეს. ასე გვითხრეს, ბლოკიდან იმას შევიყვანთ, რომელიც დასახელებაში პირველი წერიაო.

„ახალი საქართველო“ დღევანდელი გადმოსახედიდან არ ნანობს, რომ კომისიაში მუშაობაში მონაწილეობა არ მიიღო, დემოკრატიული მოძრაობის სარჩელი კი მნიშვნელოვნად არ მიაჩნია.

– რა აზრი აქვს ახლა ჩივილს. თავიდანვე უნდა სცოდნოდათ, რომ მათ აზრს არავინ გაითვალისწინებდა. კომისიაში კიდევ დარჩნენ რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები. კომისია იმათაც უნდა დატოვონ, – ამბობს ხაბეიშვილი.

კომისიის მუშაობაზე „ახალ საქართველოს“ საბოლოო შთაბეჭდილება „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მიერ მოწყობილი შეხვედრისას გაუჩნდა.

– ამ შეხვედრას ის ოპოზიცია ესწრებოდა, რომელიც კომისიაში არ შეიყვანეს. რამდენიმე კითხვა დავსვით, მაგრამ პასუხი ვერაფერზე ვერ მივიღეთ. მთელი შეხვედრის მანძილზე ირაკლი კობახიძე და ვახტანგ ხმალაძე იმაზე დავობდნენ, უნდა იყოს თუ არა პრეზიდენტი ქარიზმატული ფიგურა, – აღნიშნავს ხაბეიშვილი.

მისი თქმით, „ახალი საქართველოს“ წევრები კომისიის მუშაობის პერიოდში კომისიის წევრებს გამუდმებით ურეკავდნენ.

– არც ერთი მათგანი არ გვპასუხობდა, მერე მეილებს ვუგზავნიდით, არც ამაზე გაგვცეს პასუხი. დარწმუნებული ვარ, კომისიის წევრებმა არც კი იციან, რა ცვლილებები შევიდა. ეს კომისიაც იმიტომ შეიქმნა, რომ ხუჭუჭა კობახიძეს მთავარი კანონი ბიძინა ივანიშვილზე მოერგო, – მიიჩნევს „ახალი საქართველოს“ წარმომადგენელი.

მისი თქმით, კარგი იქნებოდა, ოპოზიციას თავიდანვე ეფიქრა ბოიკოტზე.

# სერგი კაპანაძე: „საარჩევნო სისტემა, რომელსაც „ოცნება“ გვთავაზობს, პირველად მუსოლინიმ მოიფიქრა“

„ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი სერგი კაპანაძე საარჩევნო საკითხებზე საპარლამენტო უმრავლესობის მიერ შემუშავებულ საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით განცხადებას სოციალურ ქსელში ავრცელებს.

როგორც კაპანაძე წერს, ეს სისტემა პირველად იტალიის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ბენიტო მუსოლინიმ მოიფიქრა, რომელიც 2013 წელს იტალიის საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო და გააუქმა.

აი, რას წერს სერგი კაპანაძე:

– რა შეგვიძლია ვთქვათ იმ „უმრავლესობის ბონუსის“ სისტემის შესახებ, რომლის შემოღებასაც ქოცები აპირებენ, და რომლითაც ისინი შეეცდებიან მითვისონ გაუნაწილებელი მანდატები:

1. პირველად ეს სისტემა მოიფიქრა ბენიტო მუსოლინიმ!

2. იტალიის საკონსტიტუციო სასამართლომ 2013 წელს ულიმიტო „ბონუსი“ არაკონსტიტუციურად ცნო და გააუქმა.

3. ევროპაში თითქმის არსად არ გამოიყენება, თუ არ ჩავთვლით საბერძნეთს, რისთვისაც ამ ქვეყანას რეგულარულად აკრიტიკებენ.

4. ასევე გამოიყენება სან მარინოში, მაგრამ იქ მხოლოდ იმ მიზნით, რომ გამარჯვებულმა კოალიციამ ზუსტად ადგილების 58% მიიღოს.

მოკლედ, არანაირი ევროპული „პრაქტიკით“ არ „პრავდება“ ეს მეთოდი. ჩვეულებრივი უზურპაციაა ძალაუფლების.

ამიტომ, მოვუწოდებთ „ქართულ ოცნებას“, რომ დაეკითხონ ხალხს! ჩაატარონ პლებისციტი და, დაე, მოსახლეობამ გადაწყვიტოს, სამართლიანად მიაჩნია თუ არა, რომ პირველმა პარტიამ წაიღოს ყველა იმ პარტიის ხმა, რომლებმაც ბარიერი ვერ გადალახეს.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# დავით ლორთქიფანიძე: „კონსტიტუცია საყოველთაო შეთანხმების შედეგი უნდა იყოს“

გულიკო ბალაძე

**პარლამენტის ყოფილი და „ქართული ოცნების“ წევრი დავით ლორთქიფანიძე „ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ კონსტიტუცია არის პოლიტიკური დოკუმენტი და აუცილებელია, რომ პოლიტიკური კონსენსუსი იყოს მიღწეული.**

***– ბატონო დავით, ბოლო პერიოდში ძალიან გააქტიურდა ანტისახელისუფლებო გამოსვლები საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით. თქვენ როგორ აფასებთ საკონსტიტუციო ცვლილებებს?***

– საკონსტიტუციო ცვლილებების საკითხი ბოლო პერიოდში ძალიან ცხელი თემაა. ეს ყველაფერი იმით არის განპირობებული, რომ საზოგადოების ინტერესი დიდია კონსტიტუციის, საპრეზიდენტო მმართველობის მიმართ. პოლიტიკური ჯგუფები, რომლებიც ამაზე ბოლო დროს ძალიან ხმაურიან განცხადებებს აკეთებენ, ცდილობენ თავისი რეიტინგის აწევას. მათ საზოგადოებაში სერიოზული მხარდაჭერა არ აქვთ.

***– თუმცა, არის საკითხები, რომლებიც აზრთა სხვადასხვაობას იწვევს და შეთანხმების საგანი უნდა იყოს.***

– გეთანხმებით. კონსტიტუცია არის პოლიტიკური დოკუმენტი და აუცილებელია, რომ პოლიტიკური კონსენსუსი იყოს მიღწეული. საკონსტიტუციო კომისიამ დაასრულა მუშაობა. ამ შემთხვევაში მე ვეყრდნობი კომისიის თავმჯდომარის ოფიციალურ განცხადებას, შენიშვნების 80% არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ექსპერტების მიერ იყო გამოთქმული, რომლის 75% გათვალისწინებული იქნა.

ივნისში უნდა მოესწროს კანონპროექტის სახით ცვლილებების შეტანა. ივნისში ტვირთი გადავა საყოველთაო განხილვებზე. ამ პოლიტიკურმა ძალებმა, რომლებიც ბოიკოტის რეჟიმში გადავიდნენ და კომისიის მუშაობაში არ მონაწილეობდნენ, პარლამენტის დარბაზში მაინც უნდა იაქტიურონ.

პარლამენტის სხდომის პირდაპირი ტრანსლაცია მიმდინარეობს და თუ რაიმე არგუმენტირებულ საკითხს დასვამენ, არა მგონია, ხელისუფლებამ საღი აზრის იგნორირება მოახდინოს. მსჯელობის გარეშე არც ერთი ცვლილება არ უნდა იქნას მიღებული.

***– მარგველაშვილმა თქვა, პრეზიდენტი მთავარსარდალი და სახელმწიფოს მეთაური აღარ იქნებაო.***

– მარგველაშვილმა ეს განაცხადა მანამდე, სანამ კომისია მუშაობას დაამთავრებდა. საბოლოო ვარიანტით პრეზიდენტი არის მთავარსარდალი და ის იქნება საგარეო ურთიერთობებში პოლიტიკის გამტარებელი. მე ასე ვიცი. ჯერ დოკუმენტი მიღებული არ არის, საჯილდაო ქვაა, რომელზეც უნდა გაიმართოს სერიოზული დისკუსიები.

მესმის, რომ მარგველაშვილს სურს საზოგადოებაში გამოჩნდეს, ჰქონდეს აქტიობების მაღალი ხარისხი. ეს ჩემთვის აბსოლუტურად მისაღები პროცესია, პოლიტიკური ბრძოლის ფორმაა, რომ პრეზიდენტმა, როგორც სახელმწიფოს მეთაურმა, თავისი პოზიცია წარმოადგინა. თუმცა, პრეზიდენტს არ აქვს და ვერც ექნება ის უფლებები, რაც სააკაშვილის დროს ჰქონდა.

***– მიწის გაყიდვაზე რა აზრის ხართ? საზოგადოებაში დიდი მღელვარებაა, მიწის გაყიდვას ეწინააღმდეგებიან.***

– სასოფლო-სამეურნეო მიწის დათქმისა და ფილტრის გარეშე გაყიდვის სასტიკი წინააღმდეგი ვარ. აქაც ოქროს შუალედია საპოვნი. ჩვენ გასაჩუქებელი მიწები არ გვაქვს. თუ იქნება სახელმწიფოს დიდი ინტერესი და შემოთავაზებული ისეთი გარანტიები, რომ ქვეყნისთვის საინტერესო ცვლილებებს ადგილი ექნება, ეს ალბათ ... ... ...

# რევაზ არველაძე: „გაუგებარია, რას დავობს „ინტერ რაო“

## „ყაზტრანსგაზს“ ბიუჯეტის 130 მილიონი ვალი აქვს“

**„ინტერ რაო“ საქართველოს ხელისუფლებისგან ლარის გაუფასურების შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურებას ითხოვს. საუბარია 10 მილიონ ლარზე. შესაძლოა დავა არბიტრაჟამდე მივიდეს. საარბიტრაჟო სასამართლოში ჩვენს ხელისუფლებას კომპანია „ყაზტრანსგაზიც“ უჩივის.**

**კომპანია „ინტერ რაოს“ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით გაოცებას ვერ მალავს ენერგეტიკოსი, უმრავლესობის წევრი, რევაზ არველაძე, რომელიც „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ მისთვის ამ კომპანიის პრეტენზიები გაუგებარია, რადგან როდესაც ტარიფის მატება მოხდა 4 თეთრით, იქ სწორედ ლარის ინფლაცია იყო გათვალისწინებული.**

ნონა ცაბაძე

***– ბატონო რევაზ, რა ხდება, რა ზარალზეა საუბარი?***

– ალბათ რაღაც დასაბუთება აქვთ, თუმცა მე არა მგონია, მათ რაიმე სახის ზარალი მიეღოთ. „ყაზტრანსგაზს, რომელიც გაზის სექტორში იყო შემოსული, რამდენჯერმე საქართველოს მთავრობამ დაუყენა წინადადება, რომ დაბრუნებულიყო და გაეგრძელებინა საქმიანობა შესაბამისი პირობებით. როდესაც კომპანიას სახელმწიფოს დიდი ვალი აქვს და თუ გითმობს სახელმწიფო, შენც რაღაცა უნდა გააკეთო ამ მიმართულებით. მათ პრინციპში არაფერი არ გაუკეთებიათ გარდა იმისა, რომ ვალები იზრდებოდა. რატომ ჩივიან და რისთვის ჩივიან, ჩემთვის ეს გაურკვეველია.

***– „ინტერ რაოზე“ რას იტყვით?***

– ესეც წარმოუდგენელი ამბავია. იმიტომ, რომ მე თვითონ ვიღებდი მაშინ მონაწილეობას მარეგულირებელი კომისიის სხდომებში 2015 წელს, როდესაც დაყენებული იყო საკითხი ტარიფების ცვლილების თაობაზე.

იმ პერიოდში რაც განიხილა მარეგულირებელმა კომისიამ, ყველა მიმართულებით, იქნებოდა ეს დანაკარგები, დანახარჯები, ინვესტიცია, ყველა ხარჯი კარგად დათვალა და შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღო ტარიფის გაზრდის თაობაზე.

ტარიფი 4 თეთრით გაიზარდა. სხვა განაცხადი, როგორც მე ვიცი, თელასს არ შეუტანია ტარიფების ცვლილების თაობაზე და ახლა რას ჩივიან, ან რა ზარალი მიიღეს, ჩემთვის ეს ამბავი ნამდვილად გაურკვეველია.

***– 10 მილიონ ლარზეა საუბარი, რითაც, როგორც თავად ამბობენ, ლარის გაუფასურების შედეგად დაზარალდნენ.***

– სწორედ ამ გაუფასურების შედეგად იყო, 2015 წელს 1 დოლარი 2,4-ზე რომ გადაანგარიშდა და ტარიფშიც ასეა ჩადებული. მარეგულირებელმა მათი განაცხადი გაითვალისწინა და ახლა რაღაზე დავობს?! ენერგეტიკის სამინისტროს „ინტერ რაოსთან“ მოლაპარაკებები და განხილვები დაწყებული აქვს და როგორც სამინისტროში აცხადებენ და მეც ასე მგონია, საქმე არბიტრაჟამდე არ მივა.

თელასს საკმაოდ ბევრი რაღაცები ჰქონდათ გასაკეთებელი, რაც არ გააკეთა და შეიძლება სადავო საქართველოს იქითკენ უფრო ჰქონდეს, ვიდრე თელასს. ვფიქრობ, რომ მოხერხდება პოზიციების შეჯერება და საქმე არ მივა არბიტრაჟამდე.

***– „ყაზტრანსგაზთან“ დაკავშირებით მივა საქმე არბიტრაჟამდე და რამდენად დაზარალდება ჩვენი ქვეყნის ინტერესები?***

– ქვეყნის ინტერესები არ უნდა დაზარალდეს, იმიტომ, რომ ჩვენმა სახელმწიფომ რამდენჯერმე შესთავაზა „ყაზტრანსგაზს“, რომ მმართველობა გაეგრძელებინა თბილისის გაზგამანაწილებელი ქსელისა. რადგან ისინი ამაზე არ მოდიოდნენ, მმართველი დანიშნა საქართველოს მარეგულირებელმა კომისიამ. დღეს რას ჩივის, ეს ნამდვილად არ ვიცი. 130 მილიონი ვალი აქვს „ყაზტრანსგაზს“ სახელმწიფო ბიუჯეტის.

***– მაშინ რას დავობს?***

– მეც ამას ვკითხულობ, აქეთ რაღას გვედავება?! როგორც ჩანს, ამ თანხის გადახდა არ უნდათ. ხოლო რაც შეეხება „ინტერ რაოს“, ტარიფში ყველა ის ხარჯია ასახული, რაც მან გასწია. არც რაიმე განაცხადი აქვს შეტანილი თელასს მარეგულირებელში, რომელიც არ გაითვალისწინა და არ განიხილა მარეგულირებელმა კომისიამ. მაშინ შეიძლება სადავო ჰქონოდათ, მაგრამ ასეთი რაღაც არ არსებობს. რა განაცხადიც შეიტანა თელასმა, მარეგულირებელმა ის დადგენილ ვადებში განიხილა და ამ ვადებში დაუდგინა ახალი ტარიფი თელასს.

4 თეთრის მატება ცოტა ნამდვილად არ არის! ეს იყო ტარიფის მატების ძირითადი მიზეზი. ძველი ტარიფი ნაანგარიშევი იყო 1 დოლარი – 1,7 ლარი და გადაანგარიშებული იქნა 1 დოლარი 2,4 ლარზე. დღესაც ხომ იგივეა? 1 დოლარი 2,4 ლარია. რა უნდა იყოს სადავო, ჩემთვის გაუგებარია!

# ზურაბ ლალაზაშვილი: „უნდა გაიმიჯნოს გადასახადებისგან თავის არიდება და გადასახადების დამალვა“

BDO-ს მმართველი პარტნიორი ეკონომიკური დანაშაულის დეკრიმინალიზაციისკენ გადადგმულ ნაბიჯებს იწონებს, თუმცა მიიჩნევს, რომ უპრიანია კანონმდებლობა უფრო მეტად დაუახლოვდეს განვითარებულ ქვეყნებს და ერთმანეთისგან გაიმიჯნოს გადასახადებისგან თავის არიდება და გადასახადების დამალვა.

ზურაბ ლალაზაშვილი ამბობს, ასეთი მოდელის შემოღების შემთხვევაში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის დადგენილი ზღვრის გაზრდაც საჭირო აღარ იქნება.

ბიზნესმენი კონკრეტულ ქეისებსაც ასახელებს და მიიჩნევს, რომ იმ შემთხვევაში, თუ კომპანია კანონმდებლობის გამოყენებით ცდილობს ნაკლები გადასახადი გადაიხადოს და ყველა ქმედების დეკლარაციას ახდენს, მის ხელმძღვანელ პირებზე არ უნდა გავრცელდეს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა, იმ შემთხვევაში თუ საგადასახადო ორგანო არ ეთანხმება. თუმცა ეს არ გამორიცხავს ჯარიმების დაკისრებას.

ბიზნესასოციაციის საბაჟო და საგადასახადო კომიტეტის ხელმძღვანელი აღნიშნავს, რომ ეს შემთხვევა რადიკალურად განსხვავდება გადასახადების დამალვასთან, ფაქტთან, როდესაც კომპანია კანონის დარღვევით მალავს გადასახადებს, არ წარადგენს სრულყოფილ დეკლარაციებს და ა.შ. ამ შემთხვევაში სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება შეიძლება უფრო დაბალი ზღვრიდან მოხდეს.

– ვფიქრობ, მეორე ეტაპზე სწორედ ამ მიმართულებით უნდა განვითარდეს ეს თემა, თუმცა, ალბათ, ამ ეტაპზე არც შემოსავლების სამსახური და არც მთავრობა ამისთვის მზად არ არის, – აცხადებს ლალაზაშვილი.

მისივე განცხადებით, ადმინისტრირებას კარგი რესურსი სჭირდება, მათ შორის ადამიანურიც, რადგანაც არ არის მარტივი გადასახადებისგან თავის არიდების და გადასახადების დამალვის გამიჯვნა, ამის არაერთი ქეისი, მათ შორის, სასამართლო საქმეები არსებობს განვითარებულ ქვეყნებში.

ზურაბ ლალაზაშვილი დადებითად აფასებს საგადასახადო კოდექსში კიდევ ერთ ცვლილებას, რაც საავიაციო საწვავის ნაწილის დღგ-სა და აქციზით გათავისუფლებას გულისხმობს.

– თუ შესაძლებლობა იქნება, გაიაფდეს და განვითარდეს შიდა ფრენები, რა თქმა უნდა, მისასალმებელია, – ამბობს ლალაზაშვილი.

შეგახსენებთ, წარდგენილი ცვლილებებით, გადასახადის შემცირებისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის დადგენილი თანხის ოდენობა 50.000 ლარიდან 100.000 ლარამდე იზრდება; ასევე უქმდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ქმედებებისთვის, რომლებიც თავისი შინაარსით საგადასახადო სამართალდარღვევას წარმოადგენს.

# ქუჩის დანაგვიანებაზე ერთ კვირაში 10.000 ლარზე მეტი ჯარიმა გამოიწერა

გარემოს დაბინძურებისთვის ფულადი ჯარიმების ამოქმედებიდან ერთი კვირის გასვლის შემდგომ „თბილსერვის ჯგუფის“ ინსპექციამ 71 სამართალდამრღვევი პირი გამოავლინა. აქედან 6 იურიდიული პირი, ხოლო 18 უცხოეთის მოქალაქეა. ამ დროისთვის გარემოს სამშენებლო ნარჩენით დანაგვიანებაზე დაახლოებით 7 პირი დაჯარიმდა.

როგორც „კომერსანტთან“ საუბრისას „თბილსერვის ჯგუფის“ დირექტორის მოადგილემ ლევან გოგოძემ განაცხადა, ქუჩების დანაგვიანების კუთხით გამოკვეთილი ასაკობრივი ჯგუფი არ არსებობს. გოგოძის განცხადებით, ახლანდელი მონაცემებით, საერთო ჯამში ჯარიმებმა სულ 10.760 ლარი შეადგინა.

– ახლანდელი მდგომარეობით 71 საჯარიმო ოქმია დაწერილი, რაც თანხობრივად სულ 10.760 ლარი შეადგინა. აქედან 6 იურიდიული პირი, ხოლო 18 უცხოეთის მოქალაქეა. რაც შეეხება ჯარიმებს, ის ძირითადად 80 ლარიანია, რადგან ყველაზე ხშირად დაჯარიმება სიგარეტის ნამწვზე, მზესუმზირისა და ფურცლების დაყრაზეა, – განაცხადა გოგოძემ.

„კომერსანტი“ დაინტერესდა დაჯარიმების თვალსაზრისით როგორი მდგომარეობაა გარეუბნებში. აღმოჩნდა, რომ კვირაში ორი დღის განმავლობაში გარეუბნების შემოწმებაც ხორციელდება და უკვე რამდენიმე მათგანზე პირების დაჯარიმებაც მოხდა.

–ჩვენ ამჟამად ათი ეკიპაჟი გვყავს, თითო ეკიპაჟში ორი ადამიანია. ძირითადად ცენტრალურ უბნებზე ვმუშაობთ, თუმცა კვირაში ორი დღე გარეუბნებში გასვლაც ხდება. დიღომში, ნაძალადევსა და სამგორში უკვე თითო ადამიანი დაჯარიმდა, – განაცხადა ლევან გოგოძემ.

როგორ ცნობილია, „თბილსერვის ჯგუფის“ მონიტორებმა ქუჩაში ნაგვის დაყრისთვის დაჯარიმება 20 აპრილიდან დაიწყეს. ქუჩების დანაგვიანებისთვის ჯარიმები 80-დან 1000 ლარამდე მერყეობს:

2 კგ-მდე მუნიციპალური ნარჩენით გარემოს დანაგვიანება – 80 ლარით, იგივე ქმედება ჩადენილი შენობა-ნაგებობიდან – 100 ლარით.

2 კგ-ზე მეტი მუნიციპალური ნარჩენით გარემოს დანაგვიანება – 150 ლარით, იგივე ქმედება ჩადენილი შენობა-ნაგებობიდან – 500 ლარით.

ძაღლის ან სხვა შინაური ცხოველის მცირე ოდენობის ფეკალური მასით ტერიტორიის დაბინძურება – 50 ლარით (პასუხისმგებლობა არ დაეკისრება მეპატრონეს, თუ იგი დაუყოვნებლივ და სრულად მოასუფთავებს დაბინძურებულ ტერიტორიას).

ხუთ ერთეულამდე საბურავით გარემოს დანაგვიანება (ველოსიპედის საბურავის გარდა) – 150 ლარით. ხუთი ერთეული ან ხუთ ერთეულზე მეტი საბურავით გარემოს დანაგვიანება (ველოსიპედის საბურავის გარდა) – 500 ლარით.

სახიფათო ნარჩენებით გარემოს დანაგვიანება ან სხვა ქმედება, ჩადენილი ნარჩენების შეგროვების კონტეინერის გარეთ: ფიზიკური პირი – 400 ლარით. იურიდიული პირი – 1.000 ლარით დაჯარიმდება.

# 2016 წელს თბილისში მტვერი, ნახშირორჟანგი და აზოტის დიოქსიდი დასაშვებ ნორმაზე მაღალი იყო

თბილისში, 2016 წელს, მტვრის, ნახშირორჟანგის და აზოტის დიოქსიდი ზღვრულ დასაშვებ კონცენტრაციაზე მაღალი იყო. ამის შესახებ გარემოსა დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ანგარიშში ვკითხულობთ, რომელიც ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგს შეეხება. ანგარიშში მოცემულია საქართველოს კიდევ ოთხი ქალაქის – ქუთაისის, ბათუმის, ზესტაფონისა და რუსთავის მონაცემები.

ხუთ ქალაქში მტვრის რაოდენობა ზღვრულ დასაშვებ კონცენტრაციაზე მაღალია. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ქუთაისში დაფიქსირდა. ამ ქალაქში მტვერი დასაშვებ ნორმაზე თითქმის ხუთჯერ მეტია. შედარებით ნაკლები მტვერია რუსთავში, თუმცა, მონაცემები დასაშვებ ნორმას თითქმის ოთხჯერ აღემატება. შედარებით ნაკლებია თბილისში ეს მონაცემი. ამ სამ ქალაქზე ნაკლებადაა ჰაერი მტვრით დაბინძურებული ბათუმსა და ზესტაფონში.

ხუთივე ქალაქში აზოტის დიოქსიდის მაჩვენებელი ზღვრულ ნორმაზე მაღალია, თუმცა, ზესტაფონის შემთხვევაში, ეს მონაცემი, სხვა ქალაქებთან შედარებით, მცირედით აღემატება ნორმას. აზოტის დიოქსიდის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ბათუმში დაფიქსირდა და დასაშვებ ნორმას თითქმის ოთხჯერ აღემატება. შედარებით ნაკლებია აზოტის დიოქსიდი რუსთავში, თუმცა, ამ შემთხვევაში ეს მაჩვენებელი დასაშვებ ნორმას თითქმის სამჯერ აღემატება, თბილისში კი, მაჩვენებელი ნორმაზე დაახლოებით ორჯერ მეტია. იგივე შენაერთი კიდევ უფრო ნაკლები ქუთაისშია.

ნახშირორჟანგი დასაშვებ ნორმას ამ ხუთი ქალაქიდან მხოლოდ თბილისში აღემატება.

ტყვიის შემცველობა, ჩამოთვლილი ხუთი ქალაქიდან, ყველგან დასაშვებ ნორმაზე სამჯერ ან უფრო მეტჯერ ნაკლებია.

# კოტე იოსელიანი — ირაკლი შოთაძემ ირაკლი სესიაშვილის შვილის საქმე მიჩქმალა

## ირაკლი სესიაშვილი: ნაციონალებს ჩემს შვილზე ნათქვამი სიბინძურისთვის სასამართლოში ვუჩივლებ

ნაციონალური მოძრაობის წევრი კოტე იოსელიანი აცხადებს, რომ პარლამენტარ ირაკლი სესიაშვილის შვილი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში მუშაობის დაწყებას გეგმავდა და სპეციალური პროცედურების გავლის შემდეგ დაქტილოსკოპიის ანალიზმა გამოავლინა, რომ მისი ხელის ანაბეჭდი დღემდე გაუხსნელი ქურდობის დროს აღებული ანაბეჭდების იდენტური იყო.

– სისხლის სამართლის საქმე № 00 60 50 31 50 05 აღიძრა თბილისში მომხდარ ქურდობის ფაქტზე, რომელიც დღემდე გაუხსნელია. დანაშაულის ადგილზე ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედების შედეგად, საექსპერტო-კრიმინალურმა სამსახურმა ნივთმტკიცების სახით ამოიღო სავარაუდო დამნაშავის ხელის ანაბეჭდები, რომელიც ექსპერტიზის ბიურომ ცნო ვარგისად და დარეგისტრირდა სამძებრო სამსახურის ბაზაში.

ჩვენი ინფორმაციით, ამ მონაცემების თანხვედრის შესახებ საქმის კურსში იყო გომელაურისა და გოგაშვილის უწყება, მიუხედავად ამისა, რეაგირება არ მომხდარა. პროკურატურამ კი, მთავარი პროკურორის, ირაკლი შოთაძის უშუალო ჩარევის შედეგად, ეს საქმე საერთოდ მიჩქმალა.

საუბარი ეხება მოქალაქეს, რომელიც გახლავთ პარლამენტის წევრის, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის, ნდობის ჯგუფის ხელმძღვანელის, „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერის ირაკლი სესიაშვილის შვილს – დავით სესიაშვილს.

დაუყოვნებლივ მოვითხოვთ, საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის, საპარლამენტო ნდობის ჯგუფის ხელმძღვანელის და „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერის, ირაკლი სესიაშვილის განმარტებას აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით,

ასევე მოვითხოვთ საქართველოს გენერალური პროკურორისაგან, ირაკლი შოთაძისაგან განმარტებას ქურდობის ფაქტზე აღძრული სისხლის სამართლის საქმეზე და ასევე ვითხოვთ მიმდინარე გამოძიების და გამოძიებასთან დაკავშირებული ყველა დეტალის გასაჯაროებას.

მოვითხოვთ სუსის ხელმძღვანელის ვახტანგ გომელაურისა და მისი მოადგილის იოსებ გოგაშვილისაგან გაასაჯაროონ აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით მათ ხელთ არსებული ინფორმაცია.

მოვითხოვთ საქართველოს შს მინისტრის გიორგი მღებრიშვილისგან დაუყოვნებლივ გააჯაროოს ყველა ის დოკუმენტი, რომელიც შსს-ში არსებობს, როგორც სისხლის სამართლის საქმის № 00 60 50 31 50 05, ასევე დავით სესიაშვილის თანამდებობაზე სავარაუდო დანიშვნის შესახებ, – აღნიშნავენ ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში.

* * *

„ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე მის შვილთან დაკავშირებით ნაციონალური მოძრაობის ბრალდებებს სიბინძურეს უწოდებს და ოპოზიციას სასამართლოში სარჩელის შეტანით ემუქრება.

– მარაზმია, რა ხასიათიც აქვს ნაციონალურ მოძრაობას, ზუსტად იმის გამოვლინებაა, რასაც ახლა ენმ აკეთებს. მათი საინფორმაციო სტრატეგია აგებული იყო იმაზე, რომ ჩემმა შვილმა მართლაც მიმართა სუსს და 6-თვიანი ხელშეკრულებით მართლაც დაიწყო მუშაობა და ამ ინფორმაციის დემონსტრირებისთვის, გამოიგონეს სრული აბსურდი, ტყუილი და მიაბეს ეს ჩემს შვილთან, ვითომ, მას რაიმე დანაშაულთან აქვს კავშირი. ჩემი შვილი არის უწესიერესი, განათლებული, პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული ადამიანი. ამ სიბინძურეს, რა თქმა უნდა, პასუხს გავცემ და, სავარაუდოდ, სასამართლოში შევიტან სარჩელს, – უთხრა „ნიუპოსტს“ სესიაშვილმა.

* * *

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური დეპუტატ ირაკლი სესიაშვილის შვილთან, დავით სესიაშვილთან დაკავშირებით რაიმე კანონდარღვევის გამოვლენას უარყოფს.

როგორც სუს-ში აცხადებენ, დავით სესიაშვილის სამსახურში მიღებამდე, მისი კანდიდატურის შესწავლა კანონის სრული დაცვით მოხდა.

– დავით სესიაშვილი მუშაობს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტში. მას 14 მარტს გაუფორმდა 6-თვიანი შრომითი ხელშეკრულება. დავით სესიაშვილის სამსახურში მიღებამდე, მისი კანდიდატურის შესწავლა კანონის სრული დაცვით მოხდა. შესწავლის შედეგად, მის მიერ ჩადენილი რაიმე სახის კანონდარღვევა არ გამოვლენილა და აღნიშნული პირი აყვანილი იქნა სამსახურში, – განაცხადეს სუს-ში.

# „თავადაც შევსწრებივარ, როგორ ურტყამდა ორსულ დედას“ – თბილისში მომხდარი სასტიკი მკვლელობის დეტალები

39 წლის ქალის სასტიკი მკვლელობის შესახებ დამატებითი დეტალები ხდება ცნობილი. განზრახ მკვლელობის ფაქტზე დაკავებული 42 წლის გიორგი ჯანაშვილის დედა, მედიასთან საუბრისას აღნიშნავს, რომ მკვლელობის შესახებ პოლიციას მას შემდეგ შეატყობინა, რაც მისმა შვილმა დაურეკა და უთხრა, რომ მირანდა ვაჩეიშვილი „შემოაკვდა“.

თამარ ჯანაშვილის მონაყოლის მიხედვით, ბრალდებული პოლიციას თვითონ ჩაბარდა. მისივე ინფორმაციით, დაკავებული მოკლულთან ქორწინებაში არ ყოფილა.

– ჩემს შვილს ველაპარაკე, მითხრა, რომ შემომაკვდაო... მთვრალი იყოო. თვითონ დარეკა და უთხრა, ასეთი რამ ჩავიდინე, მოვედით, რომ ჩაგბარდეთო. პირადად მე განვაცხადე, რომ ასეთი ინფორმაცია მქონდა. ჩემი შვილი მისი ქმარი არასდროს ყოფილა, – აცხადებს დაკავებულის დედა.

სასტიკი მკვლელობა თბილისში, გლდანის მიკრო რაიონში სამი დღის წინ მოხდა. საქმის მასალების მიხედვით ჯანაშვილმა ახალგაზრდა ქალი ელექტროსადენით გაგუდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მკვლელობის მოტივი ეჭვიანობა გახდა.

მოკლულის 19 წლის შვილი და მეგობრები აცხადებენ, რომ ვაჩეიშვილმა პოლიციას დახმარებისთვის არაერთხელ მიმართა, რადგან დაკავებული მას სიცოცხლის მოსპობით ხშირად ემუქრებოდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ მოქალაქის ყველა განცხადებაზე შესაბამისი რეაგირება მოახდინეს. მათ შორის ერთხელ ჯანაშვილს შემაკავებელი ორდერი გამოუწერეს.

– დედას ერთი დღის განმავლობაში ვეძებდით, პოლიციისგან გავიგეთ, რომ მოკლეს, არტერიასთან ჭრილობა აღენიშნება, – აცხადებს მოკლულის შვილი ნინო ხოსროშვილი.

მისი თქმით, მირანდა ვაჩეიშვილი ბოლო პერიოდში სახლიდან გასვლას თავს არიდებდა, რადგან ეშინოდა.

– ბავშვისთვის საჭმლის შესაძენად სახლიდან გასვლისაც კი ეშინოდა. მუდმივად შიშის ქვეშ იყო, რადგან ეს ადამიანი (მკვლელობაში ბრალდებული) ბევრ რამეზეა წამსვლელი. თავადაც შევსწრებივარ, როგორ ურტყამდა ორსულ დედას. პოლიციას თითქმის ყველა შემთხვევისას მივმართეთ, თუმცა ამას დიდად შედეგი არ მოჰყოლია, – აღნიშნა მოკლულის ქალიშვილმა.

მირანდა ვაჩეიშვილის მეგობრები იხსენებენ, რომ 42 წლის მამაკაცმა ყოფილი ცოლის საცხოვრებელ სახლს ცეცხლი წაუკიდა, შემთხვევის დროს სახლში მცირეწლოვანები იმყოფებოდნენ.

ბრალდებულს, აღკვეთის ღონისძიების სახით, პატიმრობა უკვე შეფარდებული აქვს.

39 წლის ქალს 4 შვილი დარჩა. არასრულწლოვან და-ძმებს 19 წლის ნინო უვლის.

# ენგურის ხიდთან აქციის დროს დაკავებულ დარეჯან როგავას სასამართლომ 250-ლარიანი ჯარიმა შეუფარდა

ენგურის ხიდთან მიმდინარე აქციის დროს დაკავებულ დარეჯან როგავას სასამართლომ 250-ლარიანი ჯარიმა შეუფარდა. ადმინისტრაციული წესით გასამართლებულმა ჯარიმა 7 დღის ვადაში უნდა გადაიხადოს, თუმცა, როგორც დარეჯან როგავა აცხადებს, მას თანხის გადახდის საშუალება არ აქვს.

ენგურის ხიდთან მიმდინარე აქციის დროს დარეჯან როგავა სამართალდამცველებმა წვრილმანი ხულიგნობისა და პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევისთვის დააკავეს.

ენგურის ხიდთან რამდენიმე კვირის წინ დაკავებული მამა-შვილი როგავების ოჯახის წევრებმა დღეს საპროტესტო აქცია გამართეს. მათ ენგურის ხიდის მისასვლელთან ცოცხალი ჯაჭვი გააბეს და დაკავებულების გათავისუფლება მოითხოვეს. სამართალდამცავების მოთხოვნას, რომ აქციის მონაწილეებს გზა გაეთავისუფლებინათ, შელაპარაკება მოჰყვა, რა დროსაც აქციის ერთ-ერთი მონაწილე დარეჯან როგავა დააკავეს და ზუგდიდის სამმართველოში გადაიყვანეს. დარეჯან როგავა დაკავებული პაატა როგავას და არის.

# შსს-მ 50 აბი „სუბოქსინი“ ამოიღო



შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, 1969 წელს დაბადებული თ.ჩ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ სამინისტროდან აცნობეს, სამართალდამცველებმა, დაკავებულის პირადი ჩხრეკისას 50 აბი ნარკოტიკული საშუალება „სუბოქსინი“ ამოიღეს.

– გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნტით), – ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში.

# ირაკლი ჩხვირკიას და მერაბ ღოღობერიძეს წინასწარი პატიმრობა შეეფარდათ

აჭარის პოლიციის მთავარ სამმართველოსთან მომხდარის გამო დაკავებულ ირაკლი ჩხვირკაიას და მერაბ ღოღობერიძე აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდათ. დაკავებულები ბრალს არ აღიარებენ და პოლიტიკურ მოტივებზე საუბრობენ. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, საქმეზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც თავისუფლების ექვსიდან ცხრა წლამდე ვადით აღკვეთას ითვალისწინებს.

ორივე დაკავებულის ადვოკატები გირაოთი გათავისუფლებას ითხოვდნენ, თუმცა მოსამართლემ მათი დაპატიმრების შესახებ ბრალდების მხარის შუამდგომლობა დააკმაყოფილა.

მომდევნო პროცესი ბათუმის საქალაქო სასამართლოში 20 ივნისსაა ჩანიშნული.

* * *

„უდანაშაულო ვარ და ამას დავამტკიცებ“

ბათუმის მოვლენების ორგანიზების საქმეზე დაკავებული ირაკლი ჩხვირკია აცხადებს, რომ „უდანაშაულოა და ამას დაამტკიცებს“.

სასამართლოს დაწყებამდე ბრალდებულმა ჟურნალისტებს უთხრა, რომ ის გამოძიებასთან თანამშრომლობისთვის მზადაა.

– უდანაშაულო ვარ და ამას დავამტკიცებ. აბსოლუტურად აბსურდია ის მინისპეცოპერაცია, რომელიც ჩემ მიმართ ჩატარდა. არ იყო ამის აუცილებლობა, ვინაიდან მე მქონდა განცხადება გაკეთებული და მზად ვიყავი გამოვცხადებულიყავი სასამართლოში, – აღნიშნა ირაკლი ჩხვირკიამ.

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, ნონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

# გერმანიის შსს-ს სტატისტიკის მიხედვით, უცხოელების მიერ ჩადენილი დანაშაულიდან საქართველოს მოქალაქეებზე მხოლოდ 1.1% მოდის

გერმანიის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ 2016 წლის პერიოდში ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის მიხედვით, უცხოელების მიერ 616, 230 დანაშაულიდან, საქართველოს მოქალაქეებზე მხოლოდ 6,541 დანაშაული მოდის (1.1%). აღნიშნული მაჩვენებლით, პირველ სამეულში შედიან თურქები, რუმინელები და პოლონელები.

გერმანიის შინაგან საქმეთა სამინისტროს ანგარიშში ნათქვამია, რომ 2016 წელს გერმანიაში 6,372,526 დანაშაული დაფიქსირდა. წინა წელთან შედარებით ეს მაჩვენებელი 0,7%-ით გაიზარდა. დანაშაულის ჩადენის სიხშირე 100,000 მოსახლეზე 7,797-დან 7,755-მდე შემცირდა.

გერმანიის შინაგან საქმეთა სამინისტრომ დანაშაულის სტატისტიკა გუშინ გამოაქვეყნა.

# პეტერბურგის ტერაქტზე პასუხისმგებლობა „იმამ შამილის ბატალიონმა“ აიღო

იმამ შამილის ბატალიონი – უკანასკნელ დრომდე ამ ტერორისტული დაჯგუფების სახელი ფართო საზოგადოებისთვის უცნობი იყო. დღესაც ბევრმა არ იცის, თუ ვინაა მისი მეთაური, რამდენ მებრძოლს ითვლის აღნიშნული დაჯგუფება ან რა შეიარაღება გააჩნია. პეტერბურგის ტერაქტზე პასუხისმგებლობა „იმამ შამილის ბატალიონმა“ აიღო.

– ეს შურისძიების აქტი იყო, – ნათქვამია ტერორისტების განცხადებაში.

ისინი ამტკიცებენ, რომ „ალ-ქაიდასთან“ არიან დაკავშირებულნი. პეტერბურგის მეტროში მომხდარი ტერაქტიც „ალ-ქაიდას“ ლიდერ ალ-ზაჰირის დავალებით განახორციელეს.

– ესაა შურისძიება სირიაში რუსული არმიის მიერ ჩადენილი მხეცობების გამო, – აცხადებენ „იმამ შამილის ბატალიონის“ წევრები.

დასასრულს ტერორისტები იმუქრებიან, რომ თუკი რუსეთი სირიიდან ჯარს არ გაიყვანს, რფ-ს ტერიტორიაზე ახალ ტერაქტებს განახორციელებენ. საუბარია როგორც მოსკოვსა და პეტერბურგზე, აგრეთვე სხვა ქალაქებზეც.

– აფეთქებები ხალხმრავალ ადგილას განხორციელდება. არ არის აუცილებელი, რომ ეს მოსკოვი ან პეტერბურგი იყოს. რუსეთში ხომ უამრავი ქალაქია, – ამბობენ ტერორისტები.

ფსბ-ს დირექტორმა ბორტნიკოვმა რამდენიმე დღის წინ განაცხადა: ჩვენ უკვე ვიცით, პეტერბურგის მეტროში აფეთქება ვინ მოაწყო, ისიც ვიცით, შემკვეთი ვინ იყო. ბორტნიკოვმა შემკვეთის ვინაობა არ დაასახელა. გავიდა რამდენიმე დღე და „იმამ შამილის ბატალიონის“ განცხადება ჩნდება. შემკვეთის ვინაობაც გაირკვა, მისი ვინაობა არა ფსბ-ს დირექტორმა, არამედ ტერორისტულმა დაჯგუფებამ დაასახელა.

## ტრამპმა მექსიკასთან კედლის აშენება გადადო

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ მექსიკის საზღვართან კედლის აშენება უახლოეს ხანებში არ მოხდება

– ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამ პროექტზე საერთოდ ვთქვით უარი. ჩვენ ის უბრალოდ გადავდეთ, – განაცხადა ტრამპმა.

აშშ-ის კონგრესში მყოფი დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ დაბლოკავენ ყველა ინიციატივას, რომელიც მექსიკის საზღვართან კედლის აშენებისკენ იქნება მიმართული.

## ერდოღანი: „სანამ ასადი ხელისუფლებაშია, სირიაში მშვიდობა არ იქნება“

თურქეთის პრეზიდენტმა რეჯებ ერდოღანმა განაცხადა, რომ დიქტატორმა ასადმა ათასობით ადამიანი მოკლა. ის საკუთარი ერის გენოციდს ახორციელებს, ამიტომაც სირიის მოსახლეობის უმრავლესობა ასადის წინააღმდეგია.

– სანამ ასადი ხელისუფლებაშია, სირიაში მშვიდობა არ იქნება! ხალხი ასეთი სისხლიანი ტირანის მმართველობას არ შეეგუება, – თქვა ერდოღანმა.

თურქეთის პრეზიდენტმა იმედი გამოთქვა, რომ დასავლეთი, უწინარეს ყოვლისა აშშ, ყველა ზომას მიმართავს, რომ ასადი ხელისუფლებას ჩამოაშოროს.

– მზად ვართ, ამ წმინდა საქმეში ჩვენი წვლილი შევიტანოთ! – აცხადებს ერდოღანი.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

*კალეიდოსკოპი*

## ახალ ზელანდიაში ობობებმა მინდორი გიგანტური აბლაბუდით დაფარეს

ახალი ზელანდიის პლენტის ყურეს რაიონში მინდორი 30-მეტრიანი აბლაბუდის ქსელით აღმოჩნდა დაფარული. ამ ინფორმაციას ავსტრალიის გეოგრაფიის საზოგადოება ავრცელებს.

აბლაბუდა ადგილობრივმა მცხოვრებლებმა აღმოაჩინეს, რომლებიც იქ ბავშვებთან ერთად სუფთა ჰაერზე სავარჯიშოდ იყვნენ მისულები.

– ჩვენ ვფიქრობდით, რომ იქ ობობები არ იქნებოდნენ, – ყვება ერთ-ერთი მათგანი, – მაგრამ, როდესაც ღრმად შევედით და ფეხები აბლაბუდის ქსელში გაგვებლანდა, ზევიდან პატარა შავი ობობები შევნიშნეთ.

ავსტრალიელმა არახნოლოგმა კორ ვინკმა განმარტა, რომ ობობების მასობრივი გადასახლება გამოიწვია წვიმებმა, რომლებიც ახალ ზელანდიაში გასულ კვირას განუწყვეტლივ მოდიოდა და რასაც შემდეგ წყალდიდობაც მოჰყვა.

## „ტიტანიკის“ ბორტგამცილებლის ქურქი აუქციონზე 230 ათასად გაიყიდა

ქურქი, რომელიც ხომალდ „ტიტანიკის“ ბორტგამცილებელ მეიბლი ბენეტს ეცვა, აუქციონზე, რომელიც ბრიტანეთში გაიმართა, 181 ათას ფუნტ სტერლინგად (232 ათასი დოლარი) გაიყიდა.

მანამდე ექსპერტები აცხადებდნენ, რომ, სავარაუდოდ, ქურქის ფასი 80 ათასი ფუნტი სტერლინგი (102 ათასი დოლარი) იქნებოდა.

ბენეტმა ქურქი ღამის პერანგზე მოისხა, როდესაც ხომალდმა ჩაძირვა დაიწყო და მგზავრებმა და ეკიპაჟის წევრებმა სამაშველო ნავებში დაიწყეს ჩასხდომა თავის გადასარჩენად.

ბორტგამცილებელს, რომელიც „ტიტანიკის“ პირველ კლასში მუშაობდა, აღნიშნული ქურქი ასევე ეცვა ხომალდ რედ სტარ ლეინ ლაპლანდზეც, რომლითაც „ტიტანიკის“ გადარჩენილი მგზავრები ბრიტანეთში გადაიყვანეს.

ბენეტის ოჯახმა ქურქი 1999 წელს გაყიდა, რის შემდეგაც ის აშშ-ის მუზეუმში იყო გამოფენილი.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## ჩრდილოეთ კორეა ომის პროვოცირებას ცდილობს

ჩრდილოეთ კორეამ თავისი შეიარაღებული ძალების 85-ე წლისთავი აღნიშნა. ფხენიანში ამასთან დაკავშირებით გრანდიოზული სამხედრო პარადი ჩატარდა. ამავე დროს, ჩრდილოეთ კორეის ტერიტორიაზე საარტილერიო სწავლებებიც გაიმართა.

– ვაკეთებთ იმას, რაც გვსურს და ტრამპის შეგონებები არ გვაინტერესებს, – განაცხადა ჩრდილოეთ კორეის დიქტატორმა კიმ ჩენ ინმა.

იმავდროულად სამხრეთ კორეის ტერიტირიაზე აშშ-სამხრეთ კორეის ერთობლივი სწავლებებიც დაიწყო. სამხრეთ კორეის ტერიტორიას ამერიკული წყალქვეშა ნავი მიუახლოვდა.

## ობამას ადმინისტრაციის მაღალჩინოსნები სენატს ჩვენებას მისცემენ



აშშ-ში გრძელდება რუსი ჰაკერების მიერ ამერიკულ არჩევნებში ჩარევის გამოძიება.

სენატს ჩვენებას მისცემენ გენერალური პროკურორის ექსმოადგილე სალი იეტსი, ცსს-ს ყოფილი შეფი ბრენანი და ნაციონალური დაზვერვის ექსხელმძღვანელი კეპლერი.

ამერიკული სპეცსამსახურები აცხადებენ, რომ რუსების ჩარევას ადგილი მართლაც ჰქონდა და სათანადო ბრძანება პირადად პუტინმა გასცა. რუსული მხარე ამ ბრალდებას უარყოფს.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## დონალდ ტრამპმა ნატოზე აზრი შეიცვალა

დონალდ ტრამპი თავისი წინასაარჩევნო კამპანიის დროს ხშირად აკრიტიკებდა ნატოს და ერთხელ მას მოძველებული ორგანიზაციაც უწოდა.

მას შემდეგ, რაც ტრამპი აშშ-ის პრეზიდენტი გახდა, მას ნატოზე აზრი შეეცვალა. მისი თქმით, ნატო საკმაოდ ეფექტურად იბრძვის ტერორიზმის წინააღმდეგ და მათ მომავალშიც ასე უნდა გააგრძელონ.

აშშ-ის პრეზიდენტმა აღიარა, რომ ადრე მას ნატოზე მწირი ინფორმაცია ჰქონდა და შესაბამისად ამ ორგანიზაციაზე მცდარი წარმოდგენა შეექმნა:

– ვაღიარებ, რომ ადრე ბევრი ინფორმაცია არ მქონდა ნატოზე, ახლა კი ბევრი რამ ვიცი და შემიძლია ვთქვა, რომ ნატო ეფექტურად მუშაობს და ტერორიზმს ებრძვის.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

# განცხადებები

### გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

### მკურნალობა

● ნანა ქიბროწაშვილი - ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი, პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა, ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი, ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7 . ტელ: 599-498-423 ნანა.. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით ..

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# დინამომ ქუთაისი რეგულარულში მეოთხედ დაამარცხა

**დინამო-ქუთაისი 87:82 (ოტ)**
**(15:14, 16:15, 22:27, 23:20, 11:6)**

სუპერლიგის ბოლო ტურის პირველ დღეს თბილისში ერთმანეთს ცხრილის ლიდერები – დინამო და ქუთაისი შეხვდნენ. მატჩის შედეგს ცხრილში არაფრის შეცვლა არ შეეძლო: ნებისმიერ შემთხვევაში დინამო რეგულარულ ჩემპიონატს პირველ ადგილზე ასრულებდა, ხოლო ქუთაისელები – მეორეზე. თუმცა, უშეღავათო და დაძაბული ბრძოლა წარიმართა. მატჩის ბედი დამატებით დროში გაირკვა, მანამდე კი თამაში ქულა-ქულაში მიმდინარეობდა. საბოლოოდ, დინამომ იმარჯვა, რომელმაც ქუთაისს მიმდინარე სუპერლიგის ოთხივე დაპირისპირება მოუგო.

ხან ერთი გუნდი გავიდოდა წინ, ხან – მეორე. ლიდერი 17-ჯერ შეიცვალა, ხოლო თანაბარი ანგარიში 13-ჯერ დაფიქსირდა. ბოლო წუთებზე დინამოელებმა 4-ქულიანი ლიდერობა მოიპოვეს, თუმცა სტუმრებმა მოახერხეს გათანაბრება და ბრძოლა ოვერტაიმში გაგრძელდა.

დამატებით დროში უფრო მობილიზებული დინამო აღმოჩნდა, რომელმაც ბოლო წუთზე 3-ქულიანი ლიდერობა მოიპოვა და ქუთაისელთა გადამწყვეტი შეტევაც მოიგერია. საბოლოოდ თბილისელებმა კიდევ 2 ქულა მიითვალეს და 87:82 გაიმარჯვეს.

მასპინძლებს 24 ქულით მიხეილ ბერიშვილმა ულიდერა. 21 ქულა ჩააგდო დეონტა ვონმა, ხოლო ნიკოლა მარავიჩის ანგარიშზე 15 ქულა დაგროვდა.

ქუთაისელთგან 23 ქულით გიორგი ბარბაქაძე გამოირჩა, 19 ქულა, 8 პასი და 8 ჩაჭრა გიორგი ცინცაძემ მოაგროვა.

**სატუნინო ცხრილი:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.დინამო | 28 | 25 | 32442-1999 | 53 |
| 2.ქუთაისი | 28 | 20 | 82263-2117 | 48 |
| 3.რუსთავი | 27 | 13 | 142104-2182 | 40 |
| 4.კაკეტუსი | 27 | 13 | 142140-2252 | 40 |
| 5.სოხუმი | 27 | 11 | 162145-2268 | 38 |
| 6.მგზავრები | 27 | 9 | 182012-2116 | 36 |
| 7.ბათუმი | 27 | 9 | 182071-2178 | 36 |
| 8.ოლიმპი | 27 | 9 | 181954-2019 | 36 |

**შენიშვნა:** ოლიმპს დაკლებული აქვს 1 ქულა

# შენგელიას გარჯამ ბასკონიას ვერ უშველა

თორნიკე შენგელიამ შესანიშნავად ითამაშა ევროლიგის პლეი ოფში რუსულ ცსკასთან, მაგრამ მისი ბასკონია მაინც გამოეთიშა გათამაშებას.

ვიტორიულმა კლუბმა, რომელსაც 2 თამაში მოსკოვში ჰქონდა წაგებული, რუსულ გრანდს უმასპინძლა და წაგების უფლება აღარ ჰქონდა. თუმცა, დრამატულ ბრძოლაში – 88:90 დამარცხდა, რის შედეგად, მეოთხედფინალურ სერიაში ანგარიში 3:0 გახდა, რითაც მოსკოვურმა გუნდმა ოთხთა ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა.

მასპინძელთაგან საუკეთესო გახლდათ ქართველი ფორვარდი თორნიკე შენგელია, რომელმაც მატჩის მე-3 პერიოდში დიდებული წარმოდგენა გამართა. აღნიშნულ ათწუთიანში შენგელიამ 17 ქულა მიითვალა, ზედიზედ 3 სამქულიანი ჩააგდო და ვიტორიელებს შანსი შეუნარჩუნა.

მთლიანობაში კი თორნიკემ 19 ქულა, 7 მოხსნა, 2 ჩაჭრა და თითო პასი-დაფარება მიითვალა. შენგელიამ სულ 25 წუთი ითამაშა და 8-დან 3 ორქულიანი, 3-დან 3 სამიანი და 4-დან 4 საჯარიმო ჩააგდო. ქართველი ფორვარდის სარგებლიანობის კოეფიციენტმა 24 შეადგინა, რაც ორივე გუნდის რიგებში საუკეთესო შედეგი გახლდათ.

ამგვარად, ცსკა სტამბულის ფენერბაჰჩეს შემდეგ, მე-2 კლუბი გახდა, რომელმაც ოთხთა ფინალში ადრეულად გააღწია.

მოსკოველები ნახევარფინალში ბერძნული ოლიმპიაკოსსა და თურქული ეფესის ჯახში გამარჯვებულს დაელოდებიან, ფენერბაჰჩეს კი ესპანურ რეალსა და თურქულ დარუშაფაკას შორის უმჯობესთან ჭიდილი მოუწევს.

# საქართველოს თასზე სენსაციები გრძელდება

გაიმართა საქართველოს თასის მერვედფინალის 4 მატჩი და სენსაციები კვლავაც გრძელდება. რანგით მე-3 ლიგაში მონაწილე ხონის იმერეთი მეოთხედფინალში გავიდა.

ხონელებმა მე-2 ლიგის ერთ-ერთ ლიდერ ბოლნისის სიონს უმასპინძლეს და ბოლო წუთზე ირაკლი ჭანკვეტაძის გოლით დაამარცხეს.

მეოთხედფინალში გავიდა მეორელიგელი რუსთავიც, რომელმაც დაძაბულ ბრძოლაში 3:2 დაამარცხა თანალიგელი ზუგდიდი.

ანგარიში დასაწყისშივე გახსნა ზუგდიდელმა ცოტნე სამუშიამ, მაგრამ ტაიმის ბოლო 2 წუთში ზუგდიდელებმა 2 გოლი გაუშვეს. ბესიკ ჩიმაკაძემ გაათანაბრა, ხოლო ირაკლი გოგინაშვილი წინ გაიყვანა ქვემოქართლური გუნდი.

მეორე ტაიმში სამუშიამ ერთხელაც მისცა შანსი თავისიანებს და ანგარიში თანაბარი გახადა, მაგრამ მატჩის მიწურულს ჩიმაკაძემ მეოთხედფინალში რუსთავი გაიყვანა.

საინტერესო მატჩი შედგა მცხეთა პარკზე, სადაც გაგრა დაუხვდა საჩხერის ჩიხურას. მე-2 ლიგის ერთ-ერთმა ლიდერმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწია მეტოქეს და 83-ე წუთამდე ანგარიში თანაბარი იყო. მატჩის მიწურულს კი უმაღლესლიგელებმა ნიკოლოზ გელაშვილისა და ლევან კაკუბავას გოლებით მაინც შეძლეს გამარჯვების მოპოვება.

გორში კი ერთმანეთს უმაღლესლიგელები – დილა და ფოთის კოლხეთი დაუპირისპირდნენ, სადაც გადამწყვეტი ლეანდრო რიბეიროს მიერ 34-ე წუთზე ზუსტად შესრულებული პენალტი აღმოჩნდა.

# შედეგები

**25 აპრილი**
**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ჩელსი-საუთჰემპტონი ..... 4:2

**სატუნინო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩელსი | 33 | 25 | 3 | 5 | 69-29 | 78 |
| 2.ტოტენჰემი | 32 | 21 | 8 | 3 | 68-22 | 71 |
| 3.ლივერპული | 34 | 19 | 9 | 6 | 70-42 | 66 |
| 4.სიტი | 32 | 19 | 7 | 6 | 63-35 | 64 |
| 5.მანჩესტერი | 32 | 17 | 12 | 3 | 50-24 | 63 |
| 6.ევერტონი | 34 | 16 | 10 | 8 | 60-37 | 58 |
| 7.არსენალი | 31 | 17 | 6 | 8 | 63-40 | 57 |
| 8.ვესტ ბრომვიჩი | 33 | 12 | 8 | 13 | 39-42 | 44 |
| 9.საუთჰემპტონი | 32 | 11 | 7 | 14 | 39-44 | 40 |
| 10.უოტფორდი | 33 | 11 | 7 | 15 | 37-54 | 40 |
| 11.სტოკი | 34 | 10 | 9 | 15 | 37-50 | 39 |
| 12.კრ.პალასი | 33 | 11 | 5 | 17 | 46-53 | 38 |
| 13.ბორნმუთი | 34 | 10 | 8 | 16 | 49-63 | 38 |
| 14.ვესტ ჰემი | 34 | 10 | 8 | 16 | 44-59 | 38 |
| 15.ლესტერი | 32 | 10 | 7 | 15 | 41-53 | 37 |
| 16.ბარნლი | 34 | 10 | 6 | 18 | 33-49 | 36 |
| 17.ჰალი | 34 | 9 | 6 | 19 | 36-67 | 33 |
| 18.სუონსი | 34 | 9 | 4 | 21 | 39-68 | 31 |
| 19.მიდლსბრო | 33 | 4 | 12 | 17 | 23-43 | 24 |
| 20.სანდერლენდი | 32 | 5 | 6 | 21 | 26-58 | 21 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ვულვზი-ჰადერსფილდი ..... 0:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ხიხონი-ესპანიოლი ..... 1:1
გრანადა-მალაგა ..... 0:2
ატლეტიკო-ვილიარეალი ..... 0:1

**სატუნინო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 33 | 23 | 6 | 4 | 94-32 | 75 |
| 2.რეალი | 32 | 23 | 6 | 3 | 84-36 | 75 |
| 3.ატლეტიკო | 34 | 20 | 8 | 6 | 60-25 | 68 |
| 4.სევილია | 33 | 19 | 8 | 6 | 58-39 | 65 |
| 5.ვილიარეალი | 34 | 17 | 9 | 8 | 49-27 | 60 |
| 6.ბილბაო | 33 | 17 | 5 | 11 | 46-37 | 56 |
| 7.სოსიედადი | 33 | 17 | 4 | 12 | 49-45 | 55 |
| 8.ეიბარი | 33 | 14 | 8 | 11 | 52-45 | 50 |
| 9.ესპანიოლი | 34 | 13 | 11 | 10 | 45-44 | 50 |
| 10.სელტა | 32 | 13 | 5 | 14 | 48-52 | 44 |
| 11.ალავესი | 33 | 11 | 11 | 11 | 32-40 | 44 |
| 12.ვალენსია | 33 | 11 | 7 | 15 | 47-56 | 40 |
| 13.ლას პალმასი | 33 | 10 | 9 | 14 | 52-58 | 39 |
| 14.მალაგა | 34 | 10 | 9 | 15 | 40-49 | 39 |
| 15.ბეტისი | 33 | 10 | 7 | 16 | 36-51 | 37 |
| 16.დეპორტივო | 33 | 7 | 10 | 16 | 35-51 | 31 |
| 17.ლეგანესი | 33 | 6 | 9 | 18 | 27-51 | 27 |
| 18.ხიხონი | 34 | 5 | 9 | 20 | 37-67 | 24 |
| 19.გრანადა | 34 | 4 | 8 | 22 | 27-72 | 20 |
| 20.ოსასუნა | 33 | 3 | 9 | 21 | 34-75 | 18 |

**გერმანია. თასი**

გლადბახი-აინტრახტი ..... 1:1(6:7პ)

**იტალია. სერია ბ**

სალერნიტანა-ბარი ..... 0:0
ასკოლი-აველინო ..... 2:0
სპალი-ჩიტადელა ..... 2:1
ენტელა-ლატინა ..... 0:1
პიზა-პრო ვერჩელი ..... 1:1
ფროზინონე-სპეცია ..... 2:0
ბრეშა-ტერნანა ..... 2:1
ჩეზენა-ბენევენტო ..... 4:1
კარპი-ტრაპანი ..... 2:1
პერუჯა-ვერონა ..... 1:1

**საფრანგეთი. თასი**

ანჟე-გენგამი ..... 2:0

**ჩეხეთი. პრემიერლიგა**

როსტოვი-უფა ..... 1:0
სპარტაკი-ურალი ..... 1:0

**ბელგია. 1 დივიზიონი**
**პლეი ოფი (ჩრ)**

ვარეგემი-გენტი ..... 0:2

**პლეი ოფი (ეს)**

რუზელარე-კორტრაიკი ..... 2:3
სტანდარდი-ბევერენი ..... 0:2
სტ.ჯილუა-ლიერსი ..... 1:3

*მოამზადა მიხეილ ყორეოლიანმა*

# კავანიმ პსჟ-სთან ახალ კონტრაქტს მოაწერა ხელი

პსჟ-ს ურუგვაელმა ფორვარდმა ედისონ კავანიმ თავის გუნდთან ახალ კონტრაქტს მოაწერა ხელი, რომელიც 2020 წლამდე იმოქმედებს.

კონტრაქტის დეტალები ცნობილი არ არის, მაგრამ სავარაუდოდ კავანის ანაზღაურება გაეზრდება.

კავანი წლევანდელ სეზონში პსჟ-ს საუკეთესო ფორვარდია და მის ანგარიშზე ყველა ტურნირში 44 გატანილი გოლია.

ბევრი გუნდი ცდილობდა ურუგვაელ თავდამსხმელის გადაბირებას, მაგრამ საბოლოოდ პსჟ-მ მისი შენარჩუნება მოახერხა და კავანი მინიმუმ 3 სეზონს ამ გუნდში გაატარებს.

კავანი პსჟ-ში 2012 წელს გადავიდა, მანამდე კი დიდი ხნის მანძილზე იტალიური ნაპოლის ღირსებას იცავდა.

# ნიკოლოზ ბასილაშვილმა ბარსელონას ტურნირზე წააგო

ქართველი ჩოგბურთელი ნიკოლოზ ბასილაშვილი ბარსელონაში მიმდინარე ტურნირს მეორე წრეში გამოეთიშა.

ბარსელონას ტურნირი საკმაოდ პრესტიჟულია და მასში ბევრი ძლიერი ჩოგბურთელი იღებს მონაწილეობას. ბასილაშვილის მეტოქე მეორე წრეში დავიდ გოფენი იყო, რომელიც ამჟამად მსოფლიოს რეიტინგში მე-10 პოზიციას იკავებს. პირველი სეტი დაძაბული გამოდგა და გოფენმა 7:5 იმარჯვა, მეორეში კი ბასილაშვილმა მეტოქეს ვერავითარი წინააღმდეგობა ვერ გაუწია და 0:6 წააგო.

შემდეგი ტურნირი ნიკასთვის სავარაუდოდ რომის მასტერსი იქნება, რომელიც სტარტს 1 მაისს აიღებს.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

# პოლ პოგბა სიტისთან შეხვედრას გამოტოვებს

მანჩესტერ იუნაიტედის ფრანგი ნახევარმცველი პოლ პოგბა მანჩესტერ სიტისთან შეხვედრას ტრავმის გამო გამოტოვებს. ამის შესახებ განცხადება იუნაიტედის მწვრთნელმა ჟოზე მოურინიომ გააკეთა.

პოგბამ ტრავმა ერთ-ერთ ვარჯიშზე მიიღო და მას სავარაუდოდ ერთი კვირა მოუწევს უქმობა.

სიტისთან შეხვედრა იუნაიტედისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ჟოზე მოურინიოს გუნდი ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძვის და მისთვის ყველა ქულას ოქროს ფასი აქვს.

იგივე შეიძლება ითქვას მანჩესტერ სიტიზეც, ამიტომ ამ ორ გუნდს შორის მატჩი ძალიან დაძაბული და საინტერესო უნდა იყოს.

შეხვედრა 27 აპრილს გაიმართება.

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ძიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# რა უნდა ვიცოდეთ ახალშობილის კანზე

ეკა ირემაშვილი

**კანი ადამიანის ორგანიზმის ყველაზე დიდი ზომის ორგანოა, რომელიც მნიშვნელოვან ფუნქციებს ასრულებს – დამცავ, თერმორეგულაციურ, იმუნურ და რეცეპტორულს. ახალშობილის კანი ყველაზე ფაქიზია.**

რა უნდა ვიცოდეთ ახალშობილის კანზე, რამდენი ტიპის გამონაყარი არსებობს და არის თუ არა გამონაყარი საშიში, ამ თემებზე იაშვილის საავადმყოფოს ახალშობილთა ინტენსიური თერაპიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ნინო სოლომონია საუბრობს.

**ნინო სოლომონია:**

– კანი ყველაზე დიდი ზომის ორგანოა ჩვენს ორგანიზმში, დიდ ფართს ფარავს, მას აქვს უამრავი ფუნქცია და უპირველესად, ის არის დამცავი. იგი ბარიერია ჩვენსა და გარემოს შორის და იცავს ჩვენს ორგანიზმს, რომ ადვილად არ დავზიანდეთ და დავინფიცირდეთ. მას აქვს თერმორეგულაციის უნარი, ის ჩვენ გვეხმარება რომ ტემპერატურის ნორმალური რეგულირება მოხდეს. მას აქვს იმუნური თვისებები და, რა თქმა უნდა, ის არის მგრძნობელობის ორგანო.

მთავარია, ვიცოდეთ, რომ ყველა პრობლემა არ წარმოადგენს ყოველთვის განსაკუთრებულ საშიშროებას, მაგრამ სასურველია, პრობლემების ნაწილი მშობლებმა მაინც იცოდნენ. დღეს უამრავი ლიტერატურაა და ინფორმაცია ადვილად ხელმისაწვდომია. ამ ლიტერატურით მშობელს შეუძლია იცოდეს, როგორ მოიქცეს ამა თუ იმ სიტუაციაში და რა გააკეთოს, სანამ ექიმი მოვა ან ექიმთან მივა.

***– რა პრობლემები შეიძლება ჰქონდეს ახალშობილის კანს?***

– ახალშობილის, ჩვილი ბავშვის კანს სხვადასხვა პრობლემები აქვს. ხშირად ისინი არ საჭიროებენ განსაკუთრებულ სამედიცინო ჩარევას და მშობლებმა უნდა იცოდნენ, როდის მიმართოთ ექიმს, რომ გაარკვიონ, დროულად რა პრობლემასთან აქვთ საქმე, რამდენად სერიოზულია პრობლემა, რომ თავიდან აიცილონ ის გართულებები, რომლებიც შეიძლება მას თან ახლდეს.

ახალშობილის კანი არის ძალიან ნაზი, ფაფუკი, ხავერდოვანი. ახალშობილობის და დაბადების შემდგომ პერიოდში და ჩვილობის პერიოდშიც შეიძლება გამოხატული იყოს სხვადასხვა ტიპის პრობლემები კანზე, შეიძლება იყოს თანდაყოლილი პრობლემებიც – ლაქა სხეულზე, სხვადასხვა სისხლჩაქცევები, სხვადასხვა ტიპის გამონაყარი.

დაბადების შემდგომ პერიოდში ახალშობილებს შეიძლება აღენიშნებოდეთ კანის სიმშრალე. როდესაც ბავშვი არის მუცლადყოფნის პერიოდში ნაყოფის მდგომარეობაში, ის საკმაოდ ტენიან გარემოშია, მას გარს აკრავს სანაყოფე სითხე და დაბადების შემდგომ გარემო რადიკალურად იცვლება. კანის სიმშრალე არ არის საგანგაშო დგომარეობა. შეიძლება სიმშრალე უფრო მეტადაც იყოს გამოხატული, ხშირად მტევნებზეც და ტერფებზეც კანი იქერცლება. ეს არ არის საგანგაშო მდგომარეობა და არ ნიშნავს, რომ რაიმე განსაკუთრებული ხდება. ეს ჩვეულებრივი მდგომრეობაა ზოგიერთ ახალშობილში.

***– რისი ნიშანია კანის ფერის ცვლილება მტევნებსა და ტერფებზე?***

– მტევნებსა და ტერფებზე შეიძლება კანის ფერის ცვლილება და ეს არ არის საშიში. კანი ოდნავ უფრო მუქი წითელია, ზოგჯერ სილურჯეში გადადის, რომელიც შეხებითაც უფრო ცივია, ვიდრე სხეულის სხვა ნაწილები. ეს არის საგანგაშო, მაგრამ გახსოვდეთ, როდესაც კანის ცვლილება და კანის ფერის ცვლილება ხდება გარკვეულად ხანგრძლივი დროის განმავლობაში, რჩება მთელ სხეულზე და გამოხატულია პირის ირგვლივ, სასურველია პატარა აჩვენოთ პედიატრს, რომ არ გამოგეპაროთ ისეთი მძიმე დაავადებები, როგორიც გულის თანდაყოლილი მანკია, რომელიც შეიძლება პირველ დღეებში და საათებში არ იყოს ადვილად ამოსაცნობი. მით უმეტეს, თუ ბავშვს არ გაუკეთდა გულის ექოსკოპიური გამოკვლევა, შეიძლება საერთოდ არ იქნას ნანახი და უფრო გვიან წამოვიდეს კლინიკური სურათი.

***– ხშირად ახალშობილებს ლაქები აქვთ. არც ეს არის საშიში?***

– ლაქას ლიტერატურაში რამდენიმე სახელწოდება აქვს. როცა ლაქა სახის ნაწილზე გამოხატულია და თვალებს შორის არის, ეძახიან ანგელოზის კოცნას, როცა ლაქა კეფის მიდამოშია, ეძახიან წეროს ნაკბენს. არსებობს ორაგულის ფერი ლაქაც, რომელიც ცოტა მუქი ფერისაა. მშობლებს მისი ეშინიათ და ფიქრობენ, რომ რაიმე პათოლოგია ხომ არ არის. 100 ბავშვში შეიძლება 40 ბავშვს ჰქონდეს ეს ლაქა. ის არ არის არც სიმსივნური წარმონაქმნი, არც სიცოცხლისთვის საშიში გართულება. ეს არის წვრილი სისხლძარღვების, კაპილარების თანდაყოლილი გაფართოების შედეგი. როგორც წესი, უფრო ხშირად ჩნდება დაბადებისთანავე, იშვიათად, რომ მოგვიანებით პერიოდში გაჩნდეს. ხელის შეხებით ზედაპირი გლუვია ან ვარდისფერი, ან წითელი, ან ოდნავ სტაფილოსფერი, არ არის ზედაპირიდან ამოწეული, აქვს არაერთგვაროვანი კიდეები და ძალიან გაშლილია.

ყველა მშობელს აინტერესებს, გაუვლის თუ არა ეს ბავშვს. უამრავი კვლევაა არის დადასტურებული, რომ სახის წინა ნაწილში, თვალებს შორის, შუბლზე არსებული ლაქა დროთა განმავლობაში გაქრება. რაც ჩნდება კეფის მიდამოში, შესაძლებელია უფრო დიდხანს დარჩეს, ადრე თუ გვიან მას თმა დაფარავს, ძნელი შესამჩნევი ხდება და კოსმეტიკური თვალსაზრისითაც აღარავის აწუხებს. თუ მშობელი უყურებს, რომ ეს მიდამო ზედმეტად გაღიზიანებული, შეწითლებული ან შესიებულია, ან ხედავს, რომ სისხლდენისკენ მიდრეკილია, ნუ ჩაერევიან, მაშინვე მიიყვანონ სპეციალისტთან, თუმცა, როგორც წესი, ასეთი რამ თითქმის არ ხდება.

***– რა არის კაპილარული ჰემანგიომა?***

– კაპილარული ჰემანგიომა სისხლძარღვოვანი კეთილთვისებიანი წარმონაქმნია. კაპილარები ყველაზე წვრილი სისხლძარღვებია ორგანიზმში. სამედიცინო ლიტერატურაში მას ეძახიან მარწყვისებური ზედაპირის მქონე დაბადების ლაქა. ეს არ არის საშიში, არც მტკივნეულია. შეიძლება გაჩნდეს დაბადებისთანავე,

ნინო სოლომონია

ან ზოგიერთ შემთხვევაში, პირველი თვეების განმავლობაში. საკმაოდ ხშირია ასეთი წარმონაქმნები უფრო ხშირად დღენაკლულ ახალშობილებში, რომლებიც დაიბადნენ 37 კვირამდე. წარმონაქმნი შეიძლება გაჩნდეს ნებისმიერ ადგილზე. შეიძლება იყოს ერთი ან რამდენიმე. ის ზომაში იწყებს შემცირებას, მაგრამ ცოტა მოგვიანებით. ყურადღება მიაქციეთ, ხომ არ იზრდება წარმონაქმნი, ხომ არ იცვლის ფორმას, ფერს, ხომ არ არის სისხლმდენი, სიწითლე, ინფექციის რაიმე ნიშნები ხომ არ აქვს. სხვა შემთხვევაში, თუ ცვლილება არ აქვს, განსაკუთრებულ ჩარევას და მკურნალობას არ საჭიროებს. შეიძლება ეს წარმონაქმნი 5-6 წლის ასაკში საერთოდ გაქრეს. იშვიათად რომ მედიკამენტოზური ან ქირურგიული მკურნალობა გახდეს საჭირო.

თუ დააკვირდებით, საკმაოდ ბევრ პატარას შეიძლება სახეზე დაბადების შემდგომ აღენიშნოს წვრილი, თეთრი მარგალიტის წინწკლები ცხვირზე, ნესტოებზე, თვალის ირგვლივ, ნიკაპზე, მთელ სახეზე. ამას მილია ჰქვია. ეს გამონაყარი ოდნავ არის ზედაპირიდან ამოწეული, მაგრამ ხელის შეხებით არის გლუვი, არ არის მტკივნეული ახალშობილისთვის. ძირითადი მიზეზი, რა იწვევს, რთული სათქმელია, რამდენიმე თეორია არსებობს, მთავარია, რომ ამაში არაფერი საგანგაშო არ არის. არანაირ მკურნალობას ეს გამონაყარი არ საჭიროებს. იგი უჩნდებათ ახალშობილებს და ხანდაზმულ ადამიანებს. ქრება რამდენიმე კვირის ან თვის განმავლობაში. არანაირი ბანაობა და წყლის პროცედურები არ არის უკუნაჩვენები, ჩვეულებრივად უნდა დაბანოთ ჩვილები, არ არის სასურველი ზედმეტი ნელსაცხებელი ან ზეთი იხმაროთ, არავითარ შემთხვევაში ხელით არ გააღიზიანოთ, არ შეეცადოთ, რომ ამოიღოთ. ის თვითონ გავა. ძალიან იშვიათია, რომ გართულდეს. თუ გამონაყარმა იცვალა ფერი, გარეგნობა და ზომა, მიმართეთ ექიმს.

არსებობს გამონაყარი, რომელსაც მილიარია ეწოდება. ეს არის გამონაყარი სხვადასხვა ჯგუფის – მოწითალო, კრისტალები, ბუშტუკები. ეს გამონაყრის ის ჯგუფია, რომელიც ჩახურების შედეგად ჩნდება და კანის სხვადასხვა შრეზე პრობლემის გამო ხდება. ძირითადი პრობლემა ამ დროს არის საოფლე ჯირკვლების დაცობა, კანის გაღიზიანება და გამონაყრის გაჩენა. 40 პროცენტში შეიძლება შეგვხვდეს ეს გამონაყარი. განსაკუთრებით ხშირია თბილი კლიმატის ქვეყნებში, ასევე იმ ქვეყნებშიც, სადაც წელიწადის ოთხივე სეზონია და არის ცხელი გაზაფხული და ზაფხული. ამ დროს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორ ტემპერატურაში ვამყოფებთ ბავშვს და როგორ სამოსს ჩავაცმევთ. გამონაყარი ჩნდება ყველგან, როგორც თავის თმიან ნაწილზე, ასევე ტანზე და ნაოჭებშიც. თუ ის არ არის გართულებული, ჰიგიენური პირობების დაცვით ნორმალური სამოსის ხმარების შემთხვევაში, გამონაყარი გაქრება. თუ ეს გამონაყარი დისკომფორტს გიქმნით, აუცილებლად აჩვენეთ ექიმს.

***– რას ნიშნავს ნეონატალური გამონაყარი?***

– ნეონატი ახალშობილს ნიშნავს, ნეონატალური აკნე, არის ახაშობილის აკნე. აკნე ჩნდება ძირითადად გარდატეხის პერიოდში და კანთან ასოცირებულ პრობლემებს აერთიანებს. ეს შეიძლება ადვილად დასაძლევი იყოს ან მთელი ცხოვრება დარჩეს და საჭიროებს გარკვეულ სამკურნალო საშუალებებს, აკნე იწვევს კანის დანაწიბურებას. ახალშობილებსაც აქვთ ახალშობილების აკნე, რაც არცთუ ისე იშვიათია. აკნე შეიძლება დაიწყოს როგორც თეთრი, ასევე წითელი გამონაყრით. ის განსხვავდება ჩვეულებრივი გამონაყრისგან. ჩნდება როგორც სახეზე, ასევე გულმკერდზე, ზურგზე და კისერზეც, ჩნდება დაბადებიდან რამდენიმე კვირის განმავლობაში. ერთ-ერთ მიზეზად ამბობენ, რომ ახალშობილში აკნეს გაჩენა შეიძლება იყოს დედის ორგანიზმიდან ჭარბი რაოდენობით ჰორმონების გადაცემა პლაცენტის მეშვეობით. საგანგაშო ამაში არაფერია, ჩვილს ცოტა მეტი ჰორმონი აქვს გადაცემული, ვიდრე იყო საჭირო და ეს არის მისი ორგანიზმის რეაქცია. ამ დროს სახის დაბანა უნდა მოხდეს თბილი გამდინარე წყლით. გამონაყარი უნდა გაქრეს რამდენიმე თვის განმავლობაში. იშვიათად, რომ ერთი წელი გაგრძელდეს. თუ გამონაყარი გრძელდება, მიმართეთ ექიმ დერმატოლოგს.

ეს არ ნიშნავს, თქვენ პატარას, რომ გაიზრდება, აუცილებლად ექნება აკნე გარდატეხის პერიოდში. მდგომარეობა გარდამავალია, წარმავალია, იშვიათად საჭიროებს განსაკუთრებულ ჩარევას და მკურნალობას, მაგრამ მშობლისთვის ცოტა შემაშფოთებელი მდგომარეობაა, არადა ამ დროს მთავარია მოვლის პრინციპები ვიცოდეთ.

***– როდიდან უნდა დავიწყოთ დასაბანი საშუალებების გამოყენება?***

– პირველი 6 კვირის განმავლობაში არ არის საჭირო ახალშობილისთვის საპნის და შამპუნის ხმარება, ჩვეულებრივი თბილი აბაზანებიც საკმარისია. თუ მაინც გამოიყენებთ, აუცილებელია საშუალო სიძლიერის, ფიტოალერგიული სპეციალურად ბავშვისთვის განკუთვნილი დასაბანი საშუალებების ხმარება. ამ ბავშვებთან არ არის სასურველი ზეთის და ნელსაცხის ხმარება, ეს შეიძლება კიდევ უფრო პრობლემური გახდეს კანისთვის. კანი უნდა იყოს სუფთა და მშრალი. ბავშვი არ უნდა იყოს ჩახურებული და დატენიანებული, რადგან შეიძლება ამ დროს მდგომარეობა გართულდეს.

## ასტროპრომნოზი

### 27 აპრილისათვის

**ვერძი** – კრიტიკული დღეა. ფინანსებს გაუფრთხილდით. ბედი კვლავ გამოცდას გიწყობთ. თავი აარიდეთ კომერციულ საქმიანობას. გარშემომყოფებთან კამათი კატეგორიულად გეკრძალებათ. ** კურო** – ნებისმიერი სამუშაოს შესრულებისას მაქსიმალურად ყურადღებით იყავით. ნუ იაქტიურებთ. შორს გამგზავრება სასურველი არ არის. **ტყუპები** – პლანეტები გაფრთხილებენ – ახალ ნაცნობს არ ენდოთ. არ გარისკოთ ფინანსური ოპერაციებისას, თორემ დამარცხდებით. **კირჩხიბი** – იდეების რეალიზებას შესანიშნავად ახერხებთ. თქვენი ენერგიულობითა და აქტიურობით გარშემომყოფებს გააოცებთ. სოციალური სტატუსი უკეთესობისკენ იცვლება. **ლომი** – ხელმძღვანელობა თქვენი მუშაობით უკმაყოფილოა, რაც, შესაბამისად, თქვენს ფინანსურ მდგომარეობაზეც აისახება. ერიდეთ უსარგებლო კამათსა და საქმის გარჩევებს. **ქალწული** – პირად ცხოვრებაში შეცდომის დაშვების უფლება არ გაქვთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შედეგი სავალალო იქნება. **სასწორი** – კეთილისმყოფელი და წარმატებული დღეა. ნებისმიერ საქმეს თამამად შეეჭიდეთ. მარტოხელებმა, შესაძლოა, ცხოვრების თანამგზავრი იპოვოთ. **ღრიანკალი** – პასიური, მძიმე დღეა. ჩვეულებრივი, რუტინული სამუშაო გელით. მოსალოდნელია აგრესია ოპონენტებისა და არაკეთილმოსურნე ადამიანებისგან. **მშვილდოსანი** – კრიტიკული დღეა. პროფესიულ სფეროში ვარსკვლავები აქტიურობას არ გირჩევენ. ასევე ერიდეთ რისკთან დაკავშირებულ კომერციულ ოპერაციებს. **თხის რქა** – მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება დღეს დაუშვებელია. დიდია შეცდომის ალბათობა. თქვენს ცხოვრებაზე მერკურის ზეგავლენა ფინანსურ კრახს გამოიწვევს. **მერწყული** – სასიცოცხლო პოტენციალი კვლავ მაღალ დონეზე გაქვთ. ნებისმიერ საქმეს თამამად მოჰკიდეთ ხელი. საპირისპირო სქესი თქვენით დაინტერესებულია. **თევზები** – დღევანდელი დღე გაორებული და წინააღმდეგობებით აღსავსეა. თავს ნუ მოიტყუებთ. ფულთან დაკავშირებით სიფრთხილე გამოიჩინეთ. საღამოს აუცილებლად დაისვენეთ, უმჯობესია, თუ განმარტოვდებით.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## ჯოსვორდი ბ

**შვეულად:** 1. აბრეშუმის ჭია; 2. ლუდის დასაყენებელი ხის კასრი ფშავ-ხევსურეთში; 3. ხმელეთში ღრმად შეჭრილი ზღვის ვიწრო ზოლი; 5. ფასიანი ქაღალდი; 6. გაგრის ძველბერძნული სახელწოდება; 8. გერმანიის პარლამენტი; 10. ყურის ექიმი; 12. ორადგილიანი ველოსიპედი; 14. ზემო იმერეთის ისტორიული სახელწოდება; 15. ნარკოტიკული ნივთიერება; 16. აფრიკაში ბინადარი ჟირაფისნაირი ცხოველი.

**თარაზულად:** 1. ქალაქი პაკისტანში; 4. საქართველოს რაგბისტთა გუნდი; 7. არგენტინის ნაკრებისა და „მანჩესტერ სიტის“ ფეხბურთელი; 9. უზენაესი სასამართლო თურქეთში; 11. ქალის როლების შემსრულებელი მამაკაცი მსახიობი იაპონურ თეატრში; 12. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 13. ფრანგი კინოვარსკვლავი მამაკაცი; 17. კოლუმბიელი პოპ-ვარსკვლავი ქალი; 18. კუთხე საქართველოში; 19. მე-17 საუკუნის უკრაინელი მხედართმთავარი, ჰეტმანი; 20. ამერიკელი ჩოგბურთელი ქალი.



შეადგინა თ.ჯოინაშვილმა

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. ყაზბეგი; 2. პრუდონი; 3. სკეტჩი; 4. პემზა; 5. ავლაბარი; 7. სკა; 11. თეატრი; 15. დიადორა; 16. ხამონი; 17. ვერფი; 18. ონიმა; 20. შაშვი; 22. ლუდი.

**თარაზულად**: 6. ალონსო; 6. კრიტიკა; 9. რუმპელი; 10. ბაღდათი; 12. კეჩუა; 13. ალიბი; 14. გაგარინი; 19. ოჯალეში; 21. ლევილი; 23. ნორმა; 24. ეფენდი; 25. ტრამვაი; 26. ფართინგი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. ლიდო; 2. ბრუკი; 3. ხაიამი; 5. ოხორი; 6. დილიჟანი; 8. ტროპოსფერო; 10. სინატრა; 12. აირზენა; 14. უოლესი; 15. პოლისი; 16. ფლეში.

**თარაზულად**: 1. ლარები; 4. ბომონდი; 9. მწნილი; 11. ბორუსია; 12. ავტობანი; 13. ბაწარა; 17. სკონტო; 18. პელე; 19. ინტელექტი; 20. გოზინაყი.

# მერაბ ნინიძე ბაბუა გახდა

მსახიობი მერაბ ნინიძე ბაბუა გახდა. მისმა შვილმა მარიამ ნინიძემ მას მეორე შვილიშვილი აჩუქა. პირველი – ალექსანდრე 2 წლისაა, ანასტასია კი რამდენიმე დღის წინ დაიბადა.

მერაბ ნინიძე:

– ამ ბოლო დროს წელიწადში ერთხელ მაინც ბაბუა ვხდები. აი, დღეს ასე მოხდა კეთილი იყოს შენი მოსვლა ანასტასია შუბითიძე. მომავალი წლების ნამატიც უკვე მიხარია! ჰარალე! როგორც იტყვიან!

მარიამ ნინიძე და ალექსანდრე შუბითიძე სამი წლის წინ დაქორწინდნენ.

# „ბასტი ბუბუს“ ვარსკვლავს გაუხსნიან




ბავშვებისთვის ერთ-ერთ გამორჩეულ გმირებს და გადაცემას „ბასტი ბუბუს“ ვარსკვლავს გაუხსნიან.

ინფორმაცია ამის შესახებ „ბასტი ბუბუს“ ერთ-ერთმა დამაარსებელმა თამრიკო სხვიტარიძემ გაავრცელა:

– კარგი ამბავი ნომერი ერთი – 10 მაისს „ბასტი ბუბუ“ 25 წლის ხდება და ის კვლავ უყვართ ბავშვებს და მშობლებს.

კარგი ამბავი ნომერი ორი – პირველ ივნისს საიუბილეო კონცერტზე ფილარმონიაში ყველა მომღერალი ვარსკვლავი „ბასტი ბუბუს“ ბავშვებთან ერთად იმღერებს და იცეკვებს. „ბასტი ბუბუ და ვარსკვლავები“ ხომ თქვენი საყვარელი პროექტია.

ახალი ამბავი ნომერი სამი და ძალიან მაგარი ამბავი – დიდი საკონცერტო დარბაზის წინ პირველ ივნისს გაიხსნება „ბასტი ბუბუს“ ვარსკვლავი, ასე გვითხრა ოქიტაშვილმა.

# თავისუფალმა თეატრმა სპექტაკლების ჩვენების შეწყვეტის გადაწყვეტილება მიიღო

30 აპრილიდან თავისუფალი თეატრი სპექტაკლების ჩვენებას შეწყვეტს. რეჟისორ ავთანდილ ვარსიმაშვილის მიერ 16 წლის წინ დაარსებული თავისუფალი თეატრი თავის ერთგულ მაყურებელს რამდენიმე თვით დაემშვიდობება.

ინფორმაცია ამის შესახებ თავისუფალი თეატრის ოფიციალურმა გვერდმა გაავრცელა:

– 30 აპრილიდან პირველ ოქტომბრამდე თავისუფალი თეატრის რეკონსტრუქციის გამო, თეატრი წყვეტს სპექტაკლების ჩვენებას. ნახეთ 29 აპრილს თავისუფალი თეატრის საუკეთესო სპექტაკლი „კავკასიური ცარცის წრე“ – აზდაკის როლში გოგა ბარბაქაძე, სადაც შეგიძლიათ იხილოთ თეატრის მთელი დასი.

# სამგლოვიარო განცხადებები

მეუღლე ქეთევანი, დედა როზა სოხაძე, შვილები პაპუნა, სალომე, და თათია გოგიტიშვილი, სიძე ზურაბ ალასანია, დისშვილები ინოლა, ანა, სიძეები სანდრო მეტრეველი, დევი გვახარია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**კოკი გოგიტიშვილი**

დაკრძალვა: ხუთშაბათს, 27 აპრილს, 15 საათზე.

მისამართი: ფანასკერტელის ქუჩა, კორპუსი 19, IX სადარბაზო.

---

ფანასკერტელის ქუჩის მე-19 კორპუსის მცხოვრებლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**კოკი გოგიტიშვილი**

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭო და მთავრობა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს პროკურატურის ორგანოების დამსახურებული მუშაკი, აფხაზეთის ომის ვეტერანი, ჭეშმარიტი პატრიოტი

**გიორგი სექანია**

და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ხელოვნების სასახლეს ძვირფასი სამუზეუმო შენაძენი აქვს

საქართველოს ხელოვნების სასახლეს დავით ბეჟუაშვილის განათლების ფონდმა პროექტის „ეროვნული სალარო“-ს ფარგლებში 2 ძვირფასი ეროვნული მნიშვნელობის უნიკალური ნივთი გადასცა.

პირველი ნამუშევარი დიდი თეატრალური მხატვრის ირაკლი გამრეკელის ფუნჯს ეკუთვნის, ქაღალდზე, სავარაუდოდ, მხატვრის ავტოპორტრეტი უნდა იყოს გამოცემული. ნახატი XX საუკუნის 20-იან წლებშია შესრულებული და ხელმოწერილია, მუზეუმის სპეციალისტების ჩატარებული კვლევის მიხედვით ნამუშევარი ირაკლი გამრეკელის მეგობარსა და მაშინდელ თეატრალურ საზოგადოებასთან დაახლოებულ ცნობილ ქალბატონს, აწ განსვენებულ ნანა მესტვირიშვილს ეკუთვნოდა. გამრეკელის ნამუშევარი XX საუკუნის 20-იან წლებში ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოდერნისტულ სტილშია შესრულებული.

მეორე დიდი ზომის ტილო XIX საუკუნის პოპულარულსა და ცნობილ ამერიკელ მხატვარს ჯოზეფ ვილმანს ეკუთვნის, მონუმენტური ნამუშევარი თანადროულ ჩარჩოშია ჩასმული და მასზე ტყის პირი საოცრად რეალისტურადაა გადმოცემული. ნახატი ჯოზეფ ვილმანის მიერ მარჯვენა ქვედა კუთხეში ლათინური ანბანითაა ხელმოწერილი.

პროექტი მეორე თვეა ხორციელდება და მუზეუმმა უკვე ფონდის დახმარებით 5 ძვირფასი ნივთი შეიძინა, მათ შორისაა სამეგრელოს დედოფლის ეკატერინე ჭავჭავაძის მარაო. პროექტის დასასრულს ერთი წლის თავზე ხელოვნების სასახლე დიდ გამოფენაზე დამთვალიერებელს ფონდის მიერ შექმნილ და საქართველოსთვის საჩუქრად გადაცემულ ეროვნულ კოლექციას წარუდგენს.

# თბილისის ბიგ ბენდი იუბილარია

თბილისის ბიგ ბენდისთვის 2017 წელი საიუბილეოა. ორკესტრის დაარსებიდან 20 წელი გავიდა. ამ თარიღს თბილისის ბიგ ბენდი გრანდიოზული კონცერტით აღნიშნავს, რომელიც 30 აპრილს – ჯაზის საერთაშორისო დღეს თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართება. ორკესტრი, რომელიც გაიოზ კანდელაკმა დააარსა და ორი ათეული წელია მაესტრო გივი გაჩეჩილაძის მუსიკალური ხელმძღვანელობით წარმატებებს აღწევს, თბილისელ მსმენელთან შესახვედრად ემზადება.

მარჯანიშვილის თეატრში შექმნილმა ორკესტრმა ბევრ წინააღმდეგობას გაუძლო, თეატრის შენობიდან გაგდების მიუხედავად, ბევრი იმოგზაურა, თუმცა მუსიკოსებმა ენთუზიაზმი ბოლომდე შეინარჩუნეს და ახლა სარეპეტიციოც აქვთ და მუშაობის საუკეთესო პირობებიც.

უნივერსიტეტებსა და თბილისის სკვერებში ჩატარებული უფასო კონცერტების პარალელურად, თბილისის ბიგ ბენდი უკრავს ყველგან, იქნება ეს თბილისობა, ახალი წელი თუ საქართველოს დამოუკიდებლობის დღე. მათი რეპერტუარი მოიცავს მსოფლიო ნაწარმოებებს, რომლებიც მსმენელში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს.

თბილისის ბიგ ბენდის 20 წლის იუბილესადმი მიძღვნილ კონცერტში მონაწილეობას მიიღებს გოგი ალექსიძის სახელობის ბალეტი მარიამ ალექსიძის ხელმძღვანელობით და ბუკა კარტოზიას კვინტეტი. საიუბილეო კონცერტს თბილისის ბიგ ბენდი „ლილეოთი“ გახსნის, შემდეგ კი თავისი რეპერტუარიდან საუკეთესო ნაწარმოებებს შეასრულებს.

მონტე კარლოს გრან პრის მფლობელი თბილისის ბიგ ბენდი აგვისტოში იუგოსლავიაში, სერბეთსა და ბულგარეთში გამართავს კონცერტებს.

საიუბილეო კონცერტამდე გავრცელდა ინფორმაცია, რომ თბილისის ბიგ ბენდს ვარსკვლავსაც გაუხსნიდნენ, თუმცა როგორც „ახალ თაობას“ მისმა დამაარსებელმა გაიოზ კანდელაკმა განუცხადა, ვარსკვლავის გახსნა საჭიროდ არ მიაჩნიათ:

– ჩვენი ვარსკვლავი ცაშია. ჩვენ ქვევით გახსნილ ვარსკვლავებს არასდროს ვუყურებთ, რადგან სულ ზევით, ცაში ვიყურებით. ცაშია ყველა დიდი ადამიანი და ხელოვანი... რაც მთავარია, ჩვენ არავის ვეჯიბრებით, გვიყვარს ჩვენი ქვეყანა და ვემსახურებით ჩვენს ხალხს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

# გალერეა ტეიტს მეზობლებმა სასამართლოში უჩივლეს

ლონდონში თანამედროვე გალერეა ტეიტს მეზობლად მდებარე ელიტური სახლის ხუთმა მობინადრემ სასამართლოში უჩივლა.

სარჩელში გალერეის მეზობლები ამტკიცებენ, რომ ახალი კომპლექსის „ტეიტ მოდერნის“ დამთვალიერებლების ცნობისმოყვარეობა უარყოფითად აისახება მათი ცხოვრების ხარისხზე, ვინაიდან ისინი პრაქტიკულად გამუდმებით სათვალთვალო ობიექტად გრძნობენ თავს, ხოლო მათი აპარტამენტები „ოქროს თევზების აკვარიუმებად“ იქცნენ.

გალერეის ახალი შენობა 2016 წელს გაიხსნა, მის ზედა სართულზე პანორამული გადასახედი მოედანია განთავსებული. კომპლექსის გვერდით კი ელიტური აპარტამენტები მდებარეობს, რომელთა ფასი 1,5 მილიონი ფუნტი სტერლინგიდან იწყება და 19 მილიონამდე აღწევს, ამასთან ბევრ მათგანს დიდი ფანჯრები აქვს, საიდანაც ლონდონის ხედები იშლება, მათ შორის მუზეუმისაც.

გასული წლის ბოლოს გავრცელდა ინფორმაცია, რომ გალერეის დამთვალიერებლები ელიტური სახლის მობინადრეებს ხელის ქნევით ესალმებოდნენ, ზოგიერთები კი სურათებსაც კი უღებდნენ და შემდეგ სოციალურ ქსელებში ათავსებდნენ.

მაშინ გალერეა ტეიტის ხელმძღვანელობამ გადასახედ მოედანზე განათავსა წარწერა, რომელშიც დამთვალიერებლებს მოუწოდებდა, გალერეის მეზობლების პირად ცხოვრებას პატივისცემით მოპყრობოდნენ.

# ატეკ ჰილიპპე-ს სახელგანთქმული საათი სოტბის ტოპ-ლოტად იქცა

კომპანია Patek Philippe-ს სახელგანთქმული საათი აუქციონის სახლის სოტბის ვაჭრობის ტოპ-ლოტი გახდა, რომელიც მიმდინარე წლის 14 მაისს ჟენევაში გაიმართება.

საუბარია მოდელ ჩალიბრე 89-ზე, რომელიც ყვითელი ოქროსგანაა დამზადებული. ის 1989 წელს შეიქმნა Patek Philippe-ს 150 წლის იუბილესთან დაკავშირებით. ეს მექანიკური საათი კვლავაც ითვლება მსოფლიოს კოლექციონერთა უმრავლესობისთვის ყველაზე სასურველ ნივთად. მისი ღირებულება კი 6,5-დან 10 მილიონ შვეიცარიულ ფრანკამდე მერყეობს (დაახლოებით 6,4-დან 9,9 მილიონ დოლარამდე) მაისის ვაჭრობაზე აუქციონზე წარმოდგენილი იქნება როგორც მაჯის, ისე ჯიბის საათები და არა მხოლოდ Patek Philippe-ს, არამედ სხვა ცნობილი მწარმოებლებისაც, მათ შორის როლექსის.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

# პროგრამა

**ხუთშაბათი 27 აპრილი**

**07.00** დოკ/ფ "ენტონი ბურდეინი" წინასწარი შეკვეთის გარეშე" **08.00** კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **09.00** "მოამბე დილას" **10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **12.30** "სპორტის დაფა" **12.45** "კაცების დრო" **13.45** "ტელემანი" **14.00** "დღე მუზეუმში" **14.30** "სიტყვების თამაში" **15.00, 03.00** "c სტუდია" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** "რეალური სივრცე" **21.00** ტ/სერ. "**ველვეტი**" **22.00** "ინტერვიუ სალომე ასათიანთან" **22.30** "ვექტორი" **23.00** "უცნობი მუსიკა" **00.30** მხ/ფ "**2012**"(ჯ.კიუსაკი)

**08.00** დ/ფ "ისლანდია ყველაზე ახლოს ვულკანთან" **09.00** დ/ფ "იმპრესიონისტული სკანდალი" **10.00** "გეოფაქტორი" **10.15** დ/ფ "ქვეყანა ბავშვების გარეშე" **11.15** დ/ფ "მონრეალი ტორონტო" **12.00** დ/ფ ლეტიცია და მისი მგლები" **13.00** ტ/სერ. "**ჩინგო ვეტრინე**" **14.00** დ/ფ "სიგარეტის გადაგდება" **15.00, 18.00** "ბრიფინგის დრო" **17.00** დ/ფ "ჯანმრთელობა ევროპაში" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" **21.00** "არგუმენტების დრო" **22.00** ტ/სერ. "**ჩიკაგოს პოლიცია**" **23.00** "მოამბე" (3 ენაზე) **00.30** "ნამდვილი დრო" **01.00** მხ/ფ "**ბოლო სახლი მარცხნივ**"

**08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 05.10** ქრონიკა **08.15, 09.15, 14.40** სერ. "**ელიფი**" **10.05** სერ. "**პატარძალი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** დღის შოუ **17.35** სერ. "**სტამბოლის ორი სახე**" **18.50, 19.03** სერ. "**მოუპარული ცხოვრება**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად **23.30** გრიფით საიდუმლო **00.00** მხ/ფ "**ნათლია**" **3** ნაწ. **03.00** მხ/ფ "**დაუჯერებელი სიყვარული**"

**06.00** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **06.45** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** "სხვა შუადღე" **13.55** სერ. "**ყველაზე ლამაზი**" **15.30** სერ. "**ინდური საგა**" **16.55** სერ. "**დაკარგული წლები**" **18.30** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **19.57** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **22.00** განსხვავებული აქცენტები **23.30** მხ/ფ P.S.

**08.00** ან/სერ. "ფანბოი და ჩამ-ჩამი" **09.00, 13.00** სერ. "**ალემა**" **11.00, 17.00** სერ. "**კრიმინალური აზროვნება**" **15.00** სერ. "**ანტიმატერია**" **19.00** სერ. "**გაბორტებული**" **21.00** სერ. "**ანგარიშსწორება**" **22.30** მხ/ფ "**აბლანტის გულები**" **00.30** მხ/ფ "**ჩრდილოეთის ქვეყანა**" **02.50** მხ/ფ "**გრძნობით შეპყრობილნი**"

**06.15** ქრისტიანული სწავლება **06.25** მუს. პაუზა **06.40** პატერიკი **06.45** საუკუნის პორტრეტები "იპოლიტე ხვიჩია" **07.25** ქართული ალბომი **07.50** სამყაროს შექმნა **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** სიბრძნისმეტყველება **08.30** "განთიადი" **10.10** პორტრეტები ერთსულოვნების გალერეადან-დმიტრი ყიფიანი **10.40** საღვთისმეტყველო საუბრები **11.30** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ "**ულარულარე**" **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.00** დეკორატიული ფლორა "ხარისძირა" **15.05** ქართული ან/ფ **15.25** ტრაპეზი-"ორაგული ყაბაყით" **15.35** დ/ფ "ველური ბუნება"-აფრიკა **16.00** კონცერტი **16.50** ქრისტიანული ხელოვნება "ახალი ალთქმის კრეტსაბმელი" **17.35** ჩვენი ფონდი **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი ალთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**სამანიშვილის დედინაცვალი**" **20.40** ძილი ნებისა **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.15** ისტორიანი **21.30** დიდ ხარ შენ უფალო..."მეფე დავითი"II ნაწ. **22.20** ჩვენი საგანძური **22.40** ივერიის ეკლესია **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.40** ღვთის სახლი **00.25** დ/ფ "ჩვენი ფეხბურთი" **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

**მაესტრო** **7.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (სურდო გახმოვანებით) **8.00, 13.30, 15.30** სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი" **15.00** "კონტაქტი სამზე" **16.00, 18.50, 20.55** სერ. "**მარისა**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.50** "დამზადებულია საქართველოში" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **21.50** თოქ-შოუ "ცეცხლის ხაზი" **22.50** სერ. "**ესკობარი**" **1.00** "კონტაქტი" **1.30** სერ. "**ცენტრალური საავადმყოფო**"

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

27 აპრილისთვის

აშშ დოლარი — 2.4444

ევრო — 2.6590

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.1330

100 რუსული რუბლი — 4.3614

## ამინდის პროგნოზი 27 აპრილისთვის





**25 აპრილიდან**

დევიდ უეისი

**როდეო**

ოქროს ბიბლიოთეკა

ტომი 21-ე

**ფასი გაზეთთან ერთად 15 ლარი**

**26 აპრილიდან**

ქართული დეტექტივი, ტომი 11

**სამხილი მარლბოროს კოლოფზე**

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

**27 აპრილიდან**

**სერია „ქართული საუნჯე“ ბავშვებს**

საბავშვო მოთხრობები
მაგარი ყდა, ფერადი




**ფასი გაზეთთან ერთად 15 ლარი**




**4 მაისიდან**

**სერია „ქართული საუნჯე“ ბავშვებს**

50 საბავშვო ლექსი
მაგარი ყდა, ფერადი

**ფასი გაზეთთან ერთად 15 ლარი**


## დემი მურმა მანჰეტენზე პენტჰაუსი გაყიდა

ჰოლივუდის მსახიობმა დემი მურმა ნიუ-იორკში მანჰეტენზე მდებარე პენტჰაუსი 45 მილიონ დოლარად გაყიდა, რაც თავდაპირველად მოთხოვნილ ფასზე 30 მილიონით ნაკლებია.

აპარტამენტები არქიტექტორ ემერი როტას სახელგანთქმული შენობის „სან-რემოს“ სამხრეთის კოშკის ზედა სართულებზეა განთავსებული. 1990 წელს მურმა და მისმა მაშინდელმა მეუღლემ ბრიუს უილისმა ეს საცხოვრებელი ფილმ „შაბათ საღამოს ციებცხელების“ პროდიუსერის რობეტ სტიგვუდისგან შეიძინეს.

მსახიობმა პენტჰაუსი გასაყიდად 2015 წლის აპრილში გამოიტანა და მასში 57 მილიონი დოლარის აღება სურდა. მოგვიანებით საცხოვრებლის ფასმა 49 მილიონ დოლარამდე დაიწია. როგორც თავად მური აღნიშნავდა, ეს აპარტამენტები მეტისმეტად ბრწყინვალეა იმისთვის, რომ ადამიანმა იქ მუდმივად იცხოვროს.

პენტჰაუსის საცხოვრებელი ფართი დაახლოებით 650 კვ.მ-ს შეადგენს და ამას კიდევ ემატება 140 კვ.მ ტერასები, რომლებიდანაც ქალაქის ხედები ჩანს, მათ შორის ცენტრალური პარკიც.

„სან-რემოს“ ცნობილ მობინადრეთა შორის არიან დიზაინერი დონა კარანი, რეჟისორი სტივენ სპილბერგი, მსახიობი გლენ კლოუზი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## იუმორი

დედა შვილს ეუბნება:
– შვილო სტუმრები მიდიან და რა უნდა თქვა?
– მადლობა ღმერთს!!!

•••

კარზე აკაკუნებენ:
– გააღეთ, პოლიციაა!
– ჩვენ თქვენ კი არა, მეძავები გამოვიძახეთ!
– თქვენმა მეზობლებმა გამოგვიძახეს.
– ჰოდა, მათ მიაკითხეთ!

•••

სპეცნაზის მებრძოლები გააფთრებული მომიტინგეების პირისპირ დგანან და ხელჯოხებს ფარებს უბრახუნებენ. ამ დროს ერთ-ერთი სპეცნაზელი მეორეს ეუბნება:
– ხედავ იმ ყვავილებიან კაბაში გამოწყობილ ქალს?
– ვხედავ, მერე?
– მაგას ხელი არ ახლო, ეგ ჩემია.
– ???
– ჩემი სიდედრია!

•••

შვილი დედას ეუბნება:
– დედა, მამა კიბიდან ჩამოვარდა.
– მერე, რაო, რა თქვა?
– გინება გამოვტოვო?
– ჰო.
– მაშინ უხმოდ დაეცა...

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:
– ნათქვამია, სილამაზე გადაარჩენს სამყაროსო.
– მერე?
– მერე, გუშინ ავტობუსით ვიმგზავრე, სახეებს ვაკვირდებოდი და როგორც ჩანს, მალე ომი დაიწყება.

•••

ქმარი ცოლს ეუბნება:
– ძვირფასო, ბავშვი მინდა...
– მოდი თავიდანვე დავაზუსტოთ... გავაკეთოთ თუ გავზარდოთ?

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეტრაბახება:
– ძალიან მაგარი მანქანა მყავს...
– მაინც როგორია?
– დავდივარ და არავინ მაჩერებს, სადაც მინდა, იქ ვაჩერებ, თანაც უფასოდ და ეგ რა არის, როგორც კი მანქანას მივაყენებ, მაშინვე ადგილს მითმობენ.
– რა მანქანაა ეგეთი? როლს-როისია თუ ბუგატი?
– ევაკუატორი...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

**მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.**

## ემბერ ჰერდმა და ილონ მასკმა ურთიერთობა დაადასტურეს



ჰოლივუდის მსახიობის ჯონი დეპის ყოფილმა მეუღლემ, მსახიობმა ემბერ ჰერდმა და ბიზნესმენმა ილონ მასკმა დაადასტურეს გავრცელებული ხმები მათი რომანის თაობაზე და ამის დასამტკიცებლად ინსტაგრამში საკუთარ გვერდებზე ერთად გადაღებული ფოტოსურათები გამოაქვეყნეს.

პირველმა ფოტოსურათი, რომელზეც აღბეჭდილია ჰერდთან ერთად რესტორანში მისი ყოფნა, 45 წლის მასკმა გამოაქვეყნა. სურათზე ასევე ჩანს მის ყელზე დარჩენილი პომადის ნაკვალევი, რომელიც აშკარად ჰერდს ეკუთვნის. თითქმის ერთი საათის შემდეგ ანალოგიური სურათი საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა 31 წლის ემბერმა.

შეგახსენებთ, რომ პირველად ჰერდი და მასკი ერთად 2016 ზაფხულში შენიშნეს.

## მერილინ მონროს სახლი 7 მილიონ დოლარად იყიდება

სახლი, რომელშიც ჰოლივუდის ლეგენდა მერილინ მონრო ცხოვრობდა და სადაც დაასრულა კიდეც სიცოცხლე, თითქმის 7 მილიონ დოლარად იყიდება. სწორედ ამ სახლში აღმოაჩინეს 1962 წელს მსახიობი გარდაცვლილი. ნაგებობა ბრენტვუდში მდებარეობს. მისი საერთო ფართი დაახლოებით 240 კვადრატულ მეტრს შეადგენს. სახლი 1929 წელსაა აშენებული და მას მსახიობი მხოლოდ რამდენიმე თვე ფლობდა. გარდაცვალებამდე არც ისე დიდი ხნით ადრე, მონრომ ერთ-ერთი გამოცემისთვის მიცემულ ინტერვიუში საკუთარ ახალ სახლზეც ისაუბრა, თუმცა მისთვის სურათების გადაღების კატეგორიული წინააღმდეგი იყო.

მიუხედავად მონროს საკულტო სტატუსისა, მისი გარდაცვალების შემდეგ სახლი ისტორიულ ღირსშესანიშნაობად არ იქნა აღიარებული და ამ დროისთვის რამდენიმე მფლობელი შეიცვალა. სახლი მდებარეობს შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე, სადაც ასევე განთავსებულია აუზი, ციტრუსების ბაღი, სახლი სტუმრებისთვის. მთავარ ნაგებობაში კი ოთხი საძინებელი და სამი სააბაზანო ოთახია.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## ჯოსვოხდი ა



**შვეულად:** 1. სამონასტრო კომპლექსი შიდა ქართლში; 2. თავისუფალ გლეხთა კატეგორია ფეოდალურ საქართველოში; 3. ზუსტი ხელსაწყოების წარმოებაში გამოყენებული რკინისა და ნიკელის შენადნობი; 4. დაბა სიღნაღის რაიონში; 5. მსხვილი საკარმიდამო მამული არგენტინაში; 7. მაღალმთიანი სოფელი სტეფანწმინდის რაიონში; 11. ყველაზე დიდი ტბა ეგვიპტეში; 15. ვერტიკალური სამშენებლო კონსტრუქცია; 16. ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობა; 17. თანავარსკვლავედის ძველი ქართული სახელწოდება; 18. ესპანეთის კუნძული ხმელთაშუა ზღვაში პოპულარული საკურორტო ზონა; 20. მდინარე გურიაში; 22. სათამაშოების მწარმოებელი დანიური ფირმა.

**თარაზულად:** 6. ესპანეთის ნაკრებისა და „რეალის“ ფეხბურთელი; 8. უკრაინის მმართველთა ტიტული ძველად უკრაინაში; 9. წინასწარ დამუშავებული გეგმა; 10. ხელოვნური ბოჭკოს ქსოვილი; 12. დაბალი ხარისხის ალმასი; 13. ფულის ერთეული ჩინეთში; 14. პოლიციის განყოფილება იტალიაში; 19. ლოგარითმის წილადური ნაწილი; 21. შვედი გამომგონებელი, მრეწველი, საერთაშორისო პრემიის დამფუძნებელი; 23. პორტუგალიის ფეხბურთელთა გუნდი; 24. ნავების, იახტების სადგომი ნავსადგურში; 25. ნახევარკუნძული ჩრდილო-ამერიკაში; 26. სახლის სხვენში მოწყობილი საცხოვრებელი სათავსო.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*